პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 254 (10340) | ოთხშაბათი, 26 ოქტომბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მტკიცედ განახორციელეთ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს იმას, რომ უპირატესად ვითარდებოდეს მძიმე მრეწველობა—მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესების, ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და უშიშროების განმტკიცების საფუძველი!

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან).

წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გუშინ გამოქვეყნებული მოწოდებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავისადმი, ჩვენ ქვეყანაში ძლევამოსილი კომუნისტური მშენებლობის ახალ წარმატებათა უზრუნველყოფა, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი განუხრელი აღმავლობა.

ძლევამოსილი საბჭოთა სახელმწიფო თავისი არსებობის პირველი დღიდანვე განუხრელად ახორციელებს ხალხთა შორის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ლენინურ პოლიტიკას, ახალი სისხლისმღვრელი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკას, სახელმწიფოთა შორის საქმიანი თანამშრომლობის, ურთიერთნდობისა და პატივისცემის განვითარების პოლიტიკას.

მთელი საბჭოთა ხალხი, კეთილი ნების ადამიანები მსოფლიოს ყველა კუთხეში დიდი კმაყოფილებით და სიხარულით იგებებიან კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმაფრთოვანებელ საოქტომბრო მოწოდებებს, რომლებშიც ჯკითხულობთ:

— ბაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავს!

— ძმური სალამი ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის!

საბჭოთა ხალხი სიხარულით და კანონიერი სიამაყის გრძნობით აღნიშნავს, რომ 1955 წელი იყო დიდი ჩინეთის და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის ხალხებისა, რომლებიც თავ ქვეყნის ხალხების მეგობრობის, ძმობისა და საქმიანი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების წელი. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მოწოდებებში აღნიშნავს:

— საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებო! დაუცხრომლად განამტკიცეთ სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკი — მშვიდობის უძლეველი ბურჯი! ძლიერება, განავითარეთ და განამტკიცეთ ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის!

— გამარჯვება და აყვავება საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის უფლვე მეგობრობასა და თანამშრომლობას — მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლეველ ფაქტორს!

საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცება, მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის, ხელშეკრულების დადება დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ, მოლაპარაკება და შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის, დიდ სახელმწიფოთა ენენვის თათბირის მოწყობა და მის საფუძველზე საერთაშორისო დაძაბულობის შემსუბუქება და სხვ. — ყოველივე ეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებაა.

ჩვენი ქვეყნის ხალხები გულთბილ სალამს უძღვნიან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გმირ ხალხებს, რომლებიც თავდადებულად იბრძვიან ახალი ცხოვრების შექმნისათვის. საბჭოთა ადამიანები გულითადად მიესალმებიან დიდ ინდოელ ხალხს და გამოთქვამენ სურვილს, რომ განმტკიცდეს და განვითარდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა მთელ მსოფლიოში მშვიდობის საკეთილდღეოდ. ჩვენი ხალხი მიესალმება კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ჩვენი სამშობლოს ხალხები გამარჯვებას უსურვებენ ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას მათს ბრძოლაში საერთაშორისო დაძაბულობის შესუსტებისათვის, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. საბჭოთა ადამიანებს სურთ განმტკიცდეს მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის ხალხთა და საფრანგეთისა და იტალიის ხალხთა შორის მათს ბრძოლაში მშვიდობისათვის, ევროპაში კოლექტიური უშიშროების შექმნისათვის. ჩვენი ხალხი მიესალმება გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც იბრძვიან რეაქციის ძალების წინააღმდეგ, ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, მიესალმება იაპონელ ხალხს, რომელიც იბრძვის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის.

ჩვენი საბჭოთა ხალხი, მტკიცედ დარაზმული თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, ძლევამოსილად მიდის წინ, კომუნიზმისაკენ. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე დაუცხრომლად შრომობენ საბჭოთა ადამიანები და აღწევენ ახალ-ახალ გრანდიოზულ წარმატებებს. ძმურ, განუყრელ ოჯახად დარაზმულ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ახალი მიღწევებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის 38-ე წლისთავს. ოქტომბრის დღესასწაულის წინ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა ხალხს მოუწოდებს:

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები და შემოქმედებითი ენერგია კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი საქმისათვის!

— მუშებო, კოლმეურნეებო, საბჭოთა ინტელიგენციავ! ღირსეულად შეხვდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას ახალი შრომითი წარმატებებით შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში!

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ბორკილები ახსნა მშრომელი მახების შემოქმედებითს ინიციატივას, უმაგალითოდ გაიფურჩქნა ხალხის ნიჭი, მისი თვითმოქმედება, აქტივობა, რაც უზრუნველყოფს სამშობლოს ეკონომიური და კულტურული განვითარების არნახულ ტემპებს. საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული საბჭოთა ადამიანები თავდადებულად შრომობენ ყველა უბანზე, რათა ღირსეულად შეხვდნენ პარტიის XX ყრილობას.

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! — მოგვიწოდებს სკკპ ცენტრალური კომიტეტი, — მტკიცედ განახორციელეთ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს იმას, რომ უპირატესად ვითარდებოდეს მძიმე მრეწველობა — მთელი სახალხო მეურნეობის, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესების, საბჭოთა სამშობლოს ძლიერებისა და უშიშროების განმტკიცების საფუძველი!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს სოციალისტური მრეწველობის მუშაკებს იბრძოლონ ტექნიკური პროგრესისათვის, მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლებისათვის, შრომის ნაყოფიერების განუხრელი გადიდებისათვის, წარმოების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის, საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენი ადამიანების ძალღონეს წარმართავენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის ამოცანის გადასაწყვეტად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის საყოველთაო-სახალხო ამოცანის გადაწყვეტაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგვიწოდებს:

— კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! გააღიდეთ სათესი ფართობები, აამაღლეთ მიწათმოქმედების კულტურა, იბრძოლეთ უხვი მოსავლისათვის! იბრძოლეთ ყამირი და ნასვენი მიწების შემდგომი ათვისებისათვის!

მივაღწიოთ იმას, რომ ყოველწლიურად მოვიყვანოთ მარცვლეულის მოსავალი სულ ცოტა 10 მილიარდი ფუთი!

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მოითხოვენ სოფლის მეურნეობის მუშაკებისაგან ყოველი ღონისძიებით გააფართოონ სიმინდის ნათესები და გაადიდონ მისი მოსავლიანობა, იბრძოლონ პირუტყვის პროდუქტიულობის მკვეთრი გადიდებისათვის და სულადობის გამრავლებისათვის, უზრუნველყონ პირუტყვის კარგი გამოზამთრება, მისცენ სამშობლოს მეცხოველეობის მეტი პროდუქტები.

კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანები მოითხოვენ საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

— საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებო! — მოგვიწოდებს სკკპ ცენტრალური კომიტეტი, — გააუმჯობესეთ სახელმწიფო აპარატის მუშაობა, აღმოფხვრილი ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება! გულისხმიერად მოეკიდეთ მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს! იბრძოლეთ სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის და სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვისათვის! მივაღწიოთ სახელმწიფო აპარატის გაიაფებას და მასებთან მისი კავშირის შემდგომ გაძლიერებას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებანი დიდ ამოცანებს აკისრებენ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებლებს, ლიტერატურისა და ხელოვნების, სახალხო განათლების, მედიცინის მუშაკებს. მოწოდებებში ხაზგასმით აღნიშნულია საბჭოთა პროფკავშირების, კომკავშირის, საბჭოთა ქალების დიდმნიშვნელოვანი როლი ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლისა და მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავს ჩვენი ქვეყნის მშრომელები ახალი წარმატებებით ხვდებიან. საბჭოთა ქვეყნის მძლავრი ეკონომიური და კულტურული აღმავლობა მუშების, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის თავდადებული შრომის შედეგია. ჩვენი დიადი წარმატებანი მოპოვებულია სახელოვანი კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, რომელსაც მტკიცედ მიჰყავს საბჭოთა ხალხი კომუნიზმისაკენ.

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიად შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებმა საქართველოს მშრომელები აღაფრთოვანა ახალი წარმატებებისათვის

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში გუშინ აგიტატორებმა მოაწყეს საუბრები სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებების შესახებ. სურათზე: ელექტროშემდუღებელ საამქროში საამქროს პარტიბიუროს მდივანი გ. რუხაძე მუშათა ჯგუფს უკითხავს ახალ გაზეთს, რომელშიც გამოქვეყნებულია პარტიის საოქტომბრო მოწოდებანი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

მოწინავეთა გამოცდილების გამოყენების გზით

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი — მძიმეწონიანი მეორთქლმავლეები, ზეინკლები, ხარატები, უდიდესი ინტერესით ეცნობოდნენ გუშინ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავისათვის.

საორთქლმავლო გუნდებში მოწოდებათა წაკითხვისას, რომელიც აგიტატორმა ე. ახალაიამ მოაწყო, მეორთქლმავლეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს პარტიის მოწოდებას რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებისადმი, რომ მათ უზრუნველყონ შეუფერხებელი ტვირთზიდვა და გაადუმჯობესონ მგზავრთა მომსახურება.

— ჩვენ გვყვანან ტვირთზიდვის საუკეთესო ოსტატები, — თქვა საუბრისას აგიტატორმა, — მოწინავე მძიმეწონოსნები, რომლებმაც წელს ნორმის გადამეტებით უკვე გადაზიდეს 200 ათას ტონაზე მეტი სახელმწიფო ტვირთი. ასეთები არიან — შ. ჭყონიძე, ნ. პეტრენკო, ა. კვინიკაძე, ს. ფარქოსაძე და სხვ. ვისწავლოთ მათგან მძიმე წონის მატარებელთა ტარების ოსტატობა, საერთო კუთვნილებად ვაქციოთ მათი გამოცდილება!

ვადამდე ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის საწარმოთა კოლექტივებში ერთსულოვანი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავის გამო. გაძლიერდა ბრძოლა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი საწარმოო ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივები ამ მოწოდებებს მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ. აბრეშუმის კომბინატის კოლექტივმა 20 ოქტომბრისათვის ნახევარი მილიონი მეტრი ქსოვილი გამოუშვა გეგმის გადამეტებით. თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ აგრეთვე მაუდის ფაბრიკისა და ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივები.

7 ნოემბრის ნაცვლად 15 ოქტომბრისათვის

სოხუმი. (საკ. კორ.). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებმა სოხუმის საწარმოებში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ქალაქის სამრეწველო საწარმოების კოლექტივებმა იკისრეს მეხუთე ხუთწლედის შესრულება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავისათვის. ეს პირობა მათ გადამდე გაანაღდეს. 15 ოქტომბრისათვის შეასრულეს მეხუთე ხუთწლედი, ქვეყანას მისცეს მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია.

კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს საკონსერვო და ლიმონათის ქარხნის, ქალაქის სამრეწველო კომბინატის და საორთქლმავლო დეპოს კოლექტივებმა.

ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს

24 ოქტომბერს ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ და მისმა მეუღლემ დო მია იმ ვიზიტი გაუკეთეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს და მიართვეს ბირმელ ოსტატთა ნამუშევარი სამახსოვრო საჩუქრები.

პრემიერ-მინისტრ უ ნუს ახლდა ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ მონგ ონი. კ. ე. ვოროშილოვისა და უ ნუს საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბირმის კავშირში ა. დ. შჩიბორინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი გ. ი. ფომინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი. (საკდესი).

ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში უ მონგ ონმა სადილი გამართა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს პატივსაცემად

ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში უ მონგ ონმა 24 ოქტომბერს სადილი გამართა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ პრემიერ-მინისტრი უ ნუ, მისი მეუღლე დო მია ი და პრემიერ-მინისტრის თანმხლები პირები: ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უ ხლა მაუნგი, ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში უ ჩინი და მისი მეუღლე ქ-ნი ჩინი, პრემიერ-მინისტრის მდივანი უ ტანი, პოლკოვნიკი აუნგ ჯი, უ ხლა და უ ნვე.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბაროვი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, დ. ტ. შეპილოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო, ვ. ა. ზორინი და ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბირმაში ა. დ. შჩიბორინი, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგე ბ. მ. ვოლკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე საბჭოთა კავშირის დელეგაციის შემადგენლობის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა საბჭოთა კავშირის დელეგაცია ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე შემდეგი შემადგენლობით:

ვ. მ. მოლოტოვი, ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, ს. ა. ვინოგრადოვი და გ. მ. პუშკინი.

დელეგაციის მრჩევლებად დანიშნული არიან ვ. ს. კემენოვი, ს. კ. ცარაპკინი, ლ. თ. ილიჩოვი, გ. ი. ტუნკინი, ს. გ. ლაპინი, ნ. ი. ჩეკლინი.

საბჭოთა დელეგაცია გაემგზავრა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე

25 ოქტომბერს დილით მოსკოვიდან ჟენევას სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე გაფრინდა საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი.

თურქმენი ხალხის კულტურის დღესასწაული

თურქმენული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილეთა საბოლოო კონცერტი სსრ კავშირის მოსკოვის დიდ თეატრში

გაკაშკაშებულია სსრ კავშირის დიდი თეატრის სცენა. იგი მორთულია ნაზად მოქსოვილი თურქმენული ორნამენტით გაწყობილი ხალიჩებით. ზეიმით გაისმის დარბაზში ვ. მუხატოვის „კანტატა კომუნისტურ პარტიაზე“, რომელსაც ნაკრები გუნდი ასრულებს. მასში ისმის ზეიმი თავისუფალი ბედნიერი თურქმენი ხალხისა, რომელიც სხვა მოძმე ხალხებთან ერთად მტკიცედ მიდის წინ — კომუნიზმისაკენ.

ასე დაიწყო თურქმენული ლიტერატურისა და ხელოვნების მონაწილეთა საბოლოო კონცერტი, რომელიც 24 ოქტომბერს გაიმართა მოსკოვში, სსრ კავშირის დიდ თეატრში.

სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, წარმოების მოწინავეები, კულტურის მოღვაწეები, რომლებითაც სავსეა თეატრის პარტერი, ლოჟები, იარუსები, ამ საღამოს მიესალმნენ ახალგაზრდა თურქმენული ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლებს, ხელოვნებისა, რომელიც გაიზარდა დიდი რუსი ხალხის კულტურას კეთილნაყოფიერი გავლენით. უფროს ძმას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მეგობრულ ოჯახში მიეძღვნა სეიდოვის ლექსი „რუს ხალხს“, რომელიც წაიკითხა მსახიობმა მ. კეპბანოვმა.

მდიდარი და მრავალფეროვანია კონცერტის პროგრამა. ეროვნული და რუსული კლასიკური ოპერების არიებს, რომანსებს, ხალხურ სიმღერებს ასრულებენ თურქმენული ოპერისა და ბალეტის სოლისტები — ბ. არტიკოვი, ა. ანაულიევა, მ. ყულიევა, ხ. ანადურდიევი. დამსწრენი თავიანთი დიდი წარმატებით გაახარეს ახალგაზრდა თურქმენმა მომღერლებმა — მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებმა მ. შახბერდიევამ და ს. დურდიევამ, რომელიც ლამაზი ხმა აქვთ. რახმანინოვის „პრელუდია“ შეასრულა თურქმენეთის სახელმწიფო ფილარმონიის პიანისტმა გ. ანამამედოვამ.

შესანიშნავი თურქმენული ცეკვები — ზოგი ლირიკულად გრაციოზული, ზოგი მეზნებარე და სწრაფი — შეასრულა ოპერის თეატრის ბალეტის კოლექტივმა ცეკვის ანსამბლთან ერთად. შეასრულეს „ჯიგიტთა ცეკვა“, „ფიალა“ ეროვნული ოპერიდან „ზოჰრე და თაჰირი“, მეხალჩეთა და მეგამბეთა ცეკვები, რომლებიც დადგეს კ. ჯაფაროვმა, ი. ბოიკომ, ტ. იზრაილოვმა. მაყურებელთა აღტაცება გამოიწვიეს კონცერტის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეებმა — ლენინგრადის ქორეოგრაფიული სასწავლებლის თურქმენული ჯგუფის მოსწავლეებმა, რომლებმაც შეასრულეს ჩაიკოვსკის ვალსი.

სიმღერის დიდი კულტურა გამოიჩინა სახელმწიფო გუნდმა (ლოტბარი ა. ესადოვი), რომელმაც შეასრულა ხალხური სიმღერები და ჩაიკოვსკის რთული მრავალხმიანი ნაწარმოები „ბულბული“. ხალხურ საკრავთა სახელმწიფო ორკესტრმა მაყურებელს უჩვენა მრავალფეროვანი პროგრამა, რომელიც შეიცავდა თურქმენეთის ხალხური ხელოვნებისა და კლასიკის ნაწარმოებებს. ამ კოლექტივის წარმატება გაზიარა მომღერალმა მ. ფარაჯევამ, რომელმაც ტაჯიკური ხალხური სიმღერა იმღერა ორკესტრთან ერთად.

მაყურებელთა ტაში გრაალში ცეკვის ანსამბლის მსახიობებმა შეასრულეს რუსული ცეკვა ბაიანისტების ტროის კომპანიონტით.

კონცერტში მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი ხალხური შემოქმედება. ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ ჰარისა და აშხაბადის ოქსების მხატვრული თვითმოქმედების მონაწილე დუტარისტებას ანსამბლს, ქორეოგრაფთა კოლექტივს, რომელმაც უჩვენა მხიარული და ცოცხალი „კოლმეურნე ახალგაზრდობის ცეკვა“, მარის, აშხაბადისა და ჩარჯოუს ოლქების ქალთა გუნდს.

ბევრია ოსტატობა და ხალხური იუმორი აშხაბადის ოლქის თეჯენის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ბოლშევიკის“ კოლმეურნის ბ. მამედსოიფუნოვის გამოსვლაში. მან თურქმენული მელოდიები შეასრულა ეროვნული მუსიკალური საკრავით დიდი ტუდუკით.

მკაფიო თავისებურებით გამოირჩეოდა ხალხური მომღერლის ტამუზის ოლქის ილიალის რაიონის ტელმანის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნის — ბაზრა ა. მურადოვის და მწყემსების შ. გულოვისა და ჩ. ბეგიევის (მარის ოლქის სტალინის რაიონის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა და საკარჩაგის რაიონის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა). გამოსვლები. მათ ეროვნული მელოდია შეასრულეს ქარგი ტუდუკებით.

ამ საღღესასწაულო კონცერტის ხალხური შემოქმედების სიმდიდრე გამოიხატა სცენის ოსტატური გაფორმებითაც. მაყურებელნი ტაბებოდნენ ორი შესანიშნავი თურქმენული ხალიჩის ცქერით, რომელთა ფონზე მიმდინარეობდა მთელი რიგი გამოსვლები. ერთ-ერთი ეს ხალიჩაა დიდი სიუჟეტური პანო „ხალხთა მეგობრობა“, მეორე — ორნამენტული გიგანტი-ხალიჩა 190 კვადრატული მეტრი ზომისა, რომელიც მთელ სიგანეზე სწვდება დიდი თეატრის სცენას.

ლამაზი სანახაობა იყო ფინალი. სცენის სიღრმეშია თურქმენეთის — „თეთრი ოქროს“ — ბამბის ქვეყნის წარმტაცი სილამაზის პეიზაჟი. რამპის შუქი ანათებს კონცერტის მონაწილეთა აღფრთოვანებულ, სიხარულით აღსავსე სახეებს. განსაკუთრებული ზეიმის გრძნობა იპყრობს ყველას, ვინც ამ საღამოს დარბაზშია. განსაკუთრებული ძალითა და შთაგონებით გაისმის სიმღერა, რომელიც ადიდებს ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვს.

ერთი წამით ვეებერთელა სცენა ბამბის აყვავებულ მინდვრად იქცევა. ჰაერში ადის ბამბის ბეღურის ასობით მწვანე ტოტი გაშლილი ქათქათა კოლოფებით. დარბაზში ტაში გრიალებს.

თურქმენული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის საბოლოო კონცერტი გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ნამდვილ დემონსტრაციად, იგი გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების თვალსაჩინო დადასტურება.

კონცერტს დირიჟორობდნენ ხ. ალამეროვი, დ. ოვეზოვი, ნ. მუხატოვი, ე. რაკერი, ა. მურზაევი, კ. ყულიევი, დ. ბეგენჩევა. გ. არაქელიანი, გ. დუგაშევი. ფორტეპიანოს პარტია შეასრულა რ. საპეგინმა.

კონცერტი დადგა რ. ზახაროვმა, მხატვარი — ი. რაბინოვიჩი. პროგრამას უძღვებოდა რ. უდიევა.

საბოლოო კონცერტს დაესწრნენ ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ვ მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბაროვი, ნ. ი. ბელიაევი, ა. ბ. არისტოვი, დ. ტ. შეპილოვი, დაესწრნენ აგრეთვე თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. ბაბაევი და თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ოვეზოვი.

მთავრობის ლოჟაში იყვნენ ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ და მისი მეუღლე დო მია ი, ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ მონგ ონი.

მაყურებელთა შორის იყვნენ ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის თანმხლები პირნი, მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები. (საკდესი).

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

ნოვაგორთა გამოცდილების დანერგვით

ძარწემი პატარა ლამაზი სოფელია სტალინირის რაიონში. „სოციალისტური შრომა“ — ასეთ სახელს ატარებს ამ სოფლის კოლმეურნეობა. საზოგადოებრივი მეურნეობის მცირე — 400 ჰექტარამდე სახნავ-სათესი მთლიანად ურწყავია. მიუხედავად ამისა, ძარწემელ კოლმეურნეებს სამხრეთ ოსეთში იცნობენ როგორც უხვი მოსავლის შესანიშნავ ოსტატებს.

ბეჯითი ხალხია ძარწემში. საკოლმეურნეო წარმოების არც ერთი უბანი არ არის, სადაც გადაჭარბებით არ სრულდებოდეს დავალება, დიდია ამ საქმეში პირველადი პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების როლი. მემინდვრეობის ბრიგადებსა თუ მეცხოველეობის ფერმაში, ბალ-ვენახებსა თუ საზაფხულო საძოვრებზე — ყველგან იგრძნობა კომუნისტების წამყვანი, დამრაზმავი ძალა.

კოლმეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულების საკითხებზე იყო მსჯელობა კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. პარტორგანიზაციის მდივნის დ. მეტრეველის მოხსენებაში მკაფიოდ, დამაჯერებლად იყო მოცემული საკოლმეურნეო წარმოების ზრდისა და აღმავლობის უტყუარი მაჩვენებლები.

აგრონომიული მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვით ძარწემში ამაღლდა სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობა, წინ წავიდა მეცხოველეობა.

160 ჰექტარ ფართობზე შემოდგომის ხორბლის მოსავლიანობამ წელს ჰექტარზე საშუალოდ 16,7 ცენტნერი შეადგინა, გეგმა კი მხოლოდ 10,5 ცენტნერს ითვალისწინებდა. მემინდვრეობის მეორე ბრიგადის ფართობში (ბრიგადირი კომუნისტი ა. გოგიძე) პურეული ჰექტარზე 27-28 ცენტნერი აიღეს. ნოვატორმა კომუნისტმა ა. გოგიძემ ადგილობრივ პირობებში შემოქმედებითად გამოიყენა ნიადაგის დამუშავების მალცევის მეთოდი. ნაკვეთებში, რომლებიც პროგრესული მეთოდით დამუშავდა, პურის მოსავლიანობამ 5-6 ცენტნერით გადააჭარბა ჩვეულებრივი წესით დამუშავებულ ნიადაგში მოყვანილ მოსავალს.

ხორბლით აივსო ძარწემელთა საკოლმეურნეო ბეღელი. ამას ემატება გაზაფხულის ქერის უხვი მოსავალი. შრომადღეზე კოლმეურნეობამ ავანსად უკვე გასცა 3 კილოგრამი მარცვლეული.

ახლა ძარწემის კოლმეურნეობაში ცხარე დღეებია: იღებენ სიმინდის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილისა და ზოსტნეულის მოსავალს, გაჩაღდა რ.თველი. საგეგმო დავალებას სიმინდის და შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა თითქმის ორმაგად აჭარბებს. ურწყავი ნიადაგის ზოგიერთ ნაკვეთში შაქრის ჭარხლის მოსავალი ჰექტარზე 400 ცენტნერია, ყურძნისა — 70-80 ცენტნერი, კარტოფილისა — 10 ტონა.

წარმოების ყველა უბანზე კომუნისტები ხელმძღვანელობენ საწარმოო ბრიგადებს, რგოლებს, უშუალოდ მუშაობენ ფერმებში, მშენებლობებზე. ყველა კომუნისტს აქვს პარტიული დავალება. სწორედ ამან განაპირობა საანგარიშო-საარჩევნო კრების მაღალი იდეური დონე — კომუნისტები თავიანთ გამოსვლებში ეყრდნობოდნენ კოლმეურნეობის ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებულ ცოცხალ ფაქტებს, ასახელებდნენ მოწინავე ადამიანებს, ამხილებდნენ ნაკლოვანებებს და შეჰქონდათ წინადადებები, თუ რა გზით უნდა წარმართულიყო შემდგომში მუშაობა, როგორი ამოცანები უნდა გადაეჭრა პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მომავალში.

მემინდვრეობის ბრიგადების ხელმძღვანელებმა ვ. ჭოველიძემ და ს. მეტრეველმა ილაპარაკეს შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე.

— ჩვენს კოლმეურნეობაში, — თქვა ვ. ჭოველიძემ, — კოლმეურნეთა ძირითადი მასა ენერგიულად მრომობს საერთო საქმეზე. უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელეს თავი კოლმეურნეებმა შ. გოგიძემ, ვ. კასრაძემ, გ. ქელეხსაევამ, გ. მეტრეველმა. კოლმეურნეები ფ. ჯაბიევი და ლ. ქელეხსაევი სამუშაოს თავს არიდებენ. მართალია, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ბევრჯერ იმსჯელა შრომის დისციპლინის საკითხზე, რის შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა, მაგრამ ზოგიერთი ხარვეზი კოლმეურნეობა ლმობიერება. კოლმეურნე გ. ქელეხსაევმა აღნიშნა, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად ზრუნავდა მასებში პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის ფართოდ გაშლისათვის. კომუნისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს კოლმეურნეობის გამგეობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია იმის გამო, რომ მათ ვერ უზრუნველყვეს საბავშვო ბაღის გახსნა, რა მიზეზითაც ბევრი კოლმეურნე ქალი საკოლმეურნეო შრომაში ვერ მონაწილეობს.

კრების მონაწილეებმა მნიშვნელოვანი წინადადებანი წამოაყენეს კომკავშირული ორგანიზაციის, სოფლის ბიბლიოთეკის, სამედიცინო პუნქტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. გუნდიშვილმა ილაპარაკა კოლმეურნეობის წინაშე მდგომ ახალ ამოცანებზე, საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის პერსპექტივებზე.

მევენახეობის ბრიგადირმა ა. ჭოველიძემ და მემინდვრეობის ბრიგადირმა ა. გოგიძემ ილაპარაკეს მეცხოველეობის ფერმის მშენებლობის დაჩქარების აუცილებლობაზე, წამოაყენეს წინადადება აგრეთვე ახალი ვენახების გაშენების შესახებ. კოლმეურნეობამ წელს პირველად შეასრულა წვეულობის გეგმა. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე ნაცვლად 710 ლიტრისა მიღებულია 730 ლიტრი რძე. კომუნისტები მოითხოვენ პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის შემდგომ გაუმჯობესებას.

ასე მსჯელობენ ძარწემელი კომუნისტები სოფლის ბედ-იღბალზე. მათი გადაწყვეტილებაა უახლოეს წლებში კიდევ უფრო აამაღლონ საზოგადოებრივი წარმოება, გაზარდონ კოლმეურნის შრომადღის ხვედრი, მეტი პროდუქტები მისცენ დედა-სამშობლოს.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



ქუთაისის რაიონი. ხიმონეთის ღვინის ქარხანა შეუდგა ახალი მოსავლის ყურძნის გადამუშავებას. სურათზე: მექანიზებული წნეხების განყოფილება.

ფოტო ბ. ლუცენკოსი.

მეორე ხრამჰესის მშენებლობაზე

ვისაც თბილისიდან თეთრი წყაროს გავლით წალკაში უმგზავრია, მას არასოდეს დავიწყდება ამ მიდამოების თვალწარმტაცი სიმშვენიერე. აქ, ბუნების წიაღში, მდინარე ხრამის ხეობაში ამ ერთი წლის წინათ ხრამის ცნობილი ჰიდროელექტროსადგურის მაზლობლად დაიწყო მეორე ჰიდროელექტროსადგურის — ხრამჰეს №2-ის მშენებლობა.

ამ ჰიდროელექტროსადგურის ასამუშაებლად უნდა შესრულდეს 1.500.000 კუბური მეტრი მიწის და კლდის, 385 ათასი კუბური მეტრი ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოები, საგენერატორო სადგურთან წყლის მისაყვანად ტონელებში უნდა ჩაიწყონ ათას ტონაზე მეტი ლითონის კონსტრუქციები.

მშენებლობის დაწყებიდან დღემდე ბევრი რამ გაკეთდა. შესრულებულია 508 ათასი კუბური მეტრი მიწის და კლდის, 10.300 კუბური მეტრი ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოები, გაყვანილია მისადგომი გზები. გზატკეცილის ქსელი უკვე აკავშირებს მშენებელთა დაბას ყველა სამშენებლო უბანთან.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მშენებელთა საცხოვრებელი ცენტრალური დაბის — ბედიანის მშენებლობა. ერთი წლის წინათ აქ არც ერთი ნაგებობა არ იყო. ახლა დაბას ამშვენებს შვიდი ორსართულიანი სახლი და 19 კოტეჯი. კვლავაც შენდება მრავალი სახლი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა შენობა, უკვე მუშაობს წყალსადენი.

მშენებლობის პანორამა თანდათან მდიდრდება დამხმარე საწარმოებით. მუშაობს ბემზაბლოკის ქარხანა, მექანიკური და ხის დამამუშავებელი სახელოსნოები, საკომპრესორო დანადგარები. სათავის უბანზე ააშენეს ბეტონის კომბინატი, რომელიც დღეში 300 კუბურ მეტრ ბეტონს მოგვცემს ასეთივე კომბინატი აშენდება ჭოჭანის სამშენებლო უბანზე.

მშენებელთა ყველაზე შრომატევად სამუშაოს გვირაბის გათხრა წარმოადგენს. უკვე გათხრილია შტრეკები, დაწყებულია გვირაბის გასაყვანი სანგრევების მოწყობა, ზოგი სანგრევიდან უკვე შეუდგნენ გვირაბის გათხრას. გვირაბსამშენებლო სამუშაოები აქ უმთავრესად მექანიზმებით სრულდება.

ხრამჰეს-მეორის მშენებელთა ძირითად ბირთვს ორთაჭალიდან ყოფილი მშენებლები შეადგენენ. მათ ენერგეტიკული მშენებლობის დიდი გამოცდილება აქვთ და ამ გამოცდილებას ხალისით უზიარებენ ახალმოსულებს. საერთო პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობენ ახალმოსულ მშენებლებში სამუშაოთა მწარმოებლები — მ. ნემსაძე, ნ. ჩხარტიშვილი, ხიდირები — ნ. ემუხვარი, ი. კასაძე, მნგრეველი ო. მოსაშვილი, ცვლის ოსტატი ინენერი ნ. სანაძე, მექანიკოსი დ. ჩემერისი და სხვ.

მექარგილეთა ბრიგადა, რომელსაც ა. მერკულოვი ხელმძღვანელობს, ორთაჭალიდან მოვიდა. ბრიგადის წევრები სპეციალობით მეარმატურეები არიან, მაგრამ მათ აქ მეორე პროფესია — ხურობა აითვისეს და ახლა ქარგილების გამართვაზე მუშაობენ, ვინაიდან მშენებლობაზე ამჟამად ეს არის საჭირო.

ფართოდ არის გაჩაღებული მშენებელთა შორის პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. ოქტომბერში დაწინაურდა გვირაბმშენებელთა ბრიგადა, რომელსაც ქ. ჯეირანოვი ხელმძღვანელობს. ეს ბრიგადა გეგმას ორმაგად ასრულებს. საუკეთესო მაჩვენებლები აქვს აგრეთვე გვირაბმშენებელთა ახალგაზრდულ კომპლექსურ ბრიგადას, რომელსაც ი. ზოსიმოვი ხელმძღვანელობს.

სამუშაოთა არა, რომ მშენებლებს დიდად ეშლებათ ხელი საშენი მასალებისა და სამშენებლო მექანიზმების სიმცირით. საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტი, რომელიც ამ ახალ დიდ ჰიდროელექტროსადგურს აშენებს, მოვალეა ამ მხრივ მეტი დახმარება გაუწიოს მშენებლებს და შეუქმნას მათ ყველა პირობა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

რ. დავითური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მეტი მინერალური წყალი მშრომელებს

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). სულ უფრო იზრდება მშრომელთა მოთხოვნილება საირმის სამკურნალო წყალზე. მინერალური წყლების ჩამომსხმელი საამქროს კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულოს დავალება.

ქარხანამ მიმდინარე წლის 10 თვის გეგმა ვადამდე გაანაღდა და დამატებით ჩამოასხა 50 ათასი ლიტრი წყალი. წლის ბოლომდე მშრომელებს კიდევ მიაწოდონ საირმის 150 ათასი ლიტრი წყალი — ამ მოწოდებით იბრძვიან ახლა ქარხნის მოწინავე ადამიანები.

საშემოდგომო ხვნა-თესვა და კულტურის დაწესებულებანი

ლაგოდეხის რაიონის კულტურის განყოფილება საქმიან დახმარებას უწევს რაიონის იმ დაწესებულებებს, რომელთა მუშაობა წარმართულია კოლმეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ფართოდ გაშლისაკენ.

საშემოდგომო ხვნა-თესვის დღეებში კულტურის დაწესებულებებმა უფრო გააძლიერეს მუშაობა. სატრაქტორო ბრიგადებში ლექციებს კითხულობენ კვალიფიციური ლექტორები. მინდვრად მიდიან ბიბლიოთეკარები, მიაქვთ ჟურნალ-გაზეთები, მხატვრული ლიტერატურა, აწყობენ საუბრებს, საინტერესო წიგნებს უკითხავენ მექანიზატორებსა და მთესველ კოლმეურნეებს. მინდვრებში ხშირად მიდიან კინომექანიკოსები მოძრავი კინოდანადგარებით, უჩვენებენ საინტერესო მხატვრულ და მეცნიერულ-პოპულარულ ფილმებს, კინოჟურნალებს სოფლის მეურნეობის საკითხებზე. რაიონის კულტურის სახლთან და სასოფლო კლუბებთან არსებულმა თვითმოქმედმა წრეებმა მოაწყეს გასვლითი კონცერტები, მხვნელ-მთესველებს აჩვენეს საინტერესო სპექტაკლები, სკეტჩები, მოაწყეს სიმღერისა და ცეკვის საღამოები.

სოფელ შრომის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კლუბმა (გამგე ვ. ყანჩაშვილი, ბიბლიოთეკარი რ. ხოხონიშვილი) კარგად მოაწყო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. სატრაქტორო ბრიგადაში სისტემატურად მიდის მოძრავი ბიბლიოთეკა, ეწყობა გაზეთებისა და წიგნების ხმამაღალი კითხვა, იმართება საუბრები, იკითხება ლექციები. მარტო უკანასკნელ ორ თვეში ლექტორებმა გ. თუთარაშვილმა, გ. სარქისოვმა და ნ. დემეტრაშვილმა წაიკითხეს რამდენიმე ლექცია საბოფლო-სამეურნეო თემებზე. აქვე ნაჩვენები იქნა სასოფლო-სამეურნეო ფილმი „სიმინდის ასაღები კომბაინი“. დრამატული წრის კოლექტივმა მოაწყო საღამოები. წარმოადგინეს ერთმოქმედებიანი პიესა „ვერცხლის მედალოსანი“ და სკეტჩი „ერთ რესტორანში“. დრამატულ წრეში მონაწილეობენ თამბაქოსა და სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატები გ. სიყმაშვილი, ვ. ყანჩაშვილი, ნ. შუბითიძე და სხვ. დრამწრის წევრია აგრეთვე მეცხოველეობის ფერმის მუშაკი მ. ქურციკიძე.

მსხალგორელები დიდ პატივს სცემენ ბიბლიოთეკის გამგეს ნ. კერდიკაშვილს, რომლის ინიციატივით მინდვრად მოეწყო მოძრავი ბიბლიოთეკა. მას ტრაქტორისტებთან და მთესველებთან ხშირად მიაქვს ახალი ჟურნალ-გაზეთები, ეხმარება საველე გაზეთების გამოშვებაში.

რაიონის ზევრი კლუბი და ბიბლიოთეკა თავისი მუშაობით დიდი უწყობს ხელს საშემოდგომო ხვნა-თესვის წარმატებით ჩატარებას. მათ შორის აღნიშვნის ღირსია სოფელ ცოდნის კლუბი (გამგე ე. შეყელაძე, ბიბლიოთეკარი თ. კოჭლამაზაშვილი), ყარსუნის კლუბი (გამგე ვ. ნოზაძე, ბიბლიოთეკარი ნ. ფცქიალაძე), ცოდნისკარის კლუბი (გამგე დ. მაჭარაშვილი), კახლის კლუბი (გამგე ნ. რუსტამოვი).

ორგანიზებულად წარმოებს კინოფილმების ჩვენება სასოფლო-სამეურნეო თემებზე. წელს რაიონის კოლმეურნეობებსა და მტს-ებში მოეწყო 70 კინოსეანსი, რომლებსაც 8.000-ზე მეტი კოლმეურნე და სოფლის მეურნეობის სპეციალისტი დაესწრო. ნაჩვენები იყო: „სიმინდი ჩვენი ქვეყნის მინდვრებზე“, „სიმინდის ასაღები კომბაინი“, „მეცხოველეობის ფერმა“, „ოქვადრატულ-ბუდობრივი თესვა“ და მრავალი საინტერესო კინოჟურნალი. ამავე დროს ყველა სასოფლო კლუბში აჩვენებენ მხატვრულ კინოფილმებს. დაუზარებლად შრომობენ კინომექანიკოსები ა. წიქარაშვილი, ტ. გალდავა, მ. ჯანდიერი.

საშემოდგომო ხვნა-თესვის პერიოდში მუშაობა გააცხოველეს რაიონის კულტურის განყოფილებასთან არსებულმა ლექტორთა ჯგუფებმა.

რაიონში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მნიშვნელოვანი ცენტრია კულტურის სახლი. აქ შექმნილია სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელშიც გაერთიანებულია 100-ზე მეტი კაცი — სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და რაიონის მუშა-მოსამსახურეები. ანსამბლმა არაერთხელ აჩვენა თავისი შემოქმედებითი ნიჭი რაიონის მშრომელებს. კლუბებში თუ მინდვრად ეწყობა კონცერტები. ანსამბლს ხელმძღვანელობს ვ. ჭუმბურიძე. მომღერალთა გუნდის რეპერტუარი მდიდარია. დიდი ოსტატობით ასრულებენ „გაფრინდი, შავო მერცხალოს“, სიმღერებს შრომის გმირებზე და სხვ. წელს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა მოაწყო კონცერტი „მოსავლის ზეიმის“ დღეს აფენის და ყარსუნის სასოფლო კლუბებში.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ლაგოდეხის კულტურის სახლთან არსებული დრამატული წრის კოლექტივის მიერ მომზადებული სპექტაკლები. რაიონის კოლმეურნეთა და მექანიზატორთა მოწონებება დაიმსახურა ვ. კანდელაკის ჰეროიკულმა კომედიამ „მაია წყნეთელმა“, რომელიც მოამზადა ახალგაზრდა მსახიობმა ნ. დეისაძემ.

ლაგოდეხელებს არ დაავიწყდებათ მაიას როლში ვეტექიმი მ. შუხლაძე, რომელმაც როლი ნიჭიერად შეასრულა. წარმატება ხვდა კულტსახლის თანამშრომელ ვ. თანდამშვილს ერეკლე მეფის როლში, სპეციალისტი (ალ ქარხნის ავტომძღოლის მ. იაგანაშვილის მიერ შესრულებულ ანდუყაფარს, მ. თანდაშვილის ჯემალს, თამბაქოს ქარხნის მუშის შ. ჯანიაშვილის მანუჩარს.

ადგილობრივმა მხატვრებმა ლ. იგითხანოვმა, ა. ტურგენევმა და ა. დუნდუკოვმა კარგად გააფორმეს სპექტაკლი. მუსიკა დაამუშავა სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ სასულე ორკესტრის ხელმძღვანელმა ვ. ფალავანდიშვილმა.

რაიონის კულტურის განყოფილების მუშაკებმა კიდევ უფრო უნდა გააფართოონ კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობა, თვითმოქმედ წრეებში უფრო აქტიურად ჩაებან კოლმეურნეები, მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ბ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ავტომატიკა, ტელემექანიკა და ელექტრონიკა — სასოფლო ელექტროსადგურებს

დიდი სისწრაფით ხორციელდება ჩვენი ქვეყნის მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის შეიარაღება უახლესი ტექნიკით. სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში ენერგია ავტომატიკა, ტელემექანიკა, რადიოტექნიკა, ელექტრონიკა და ტექნიკის სხვა უახლესი მიღწევები, რომელთა გამოყენების შედეგად გაადვილდა შრომა, გაიზარდა დანადგარების წარმადობა და შრომის ნაყოფიერება.

ცნობილია, რომ ჰიდროენერგეტიკული რესურსების მიხედვით საქართველო სსრკ-ს ერთ-ერთი უმდიდრესი კუთხეა. ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად ამ უხვი ჰიდროენერგეტიკული რესურსების ბაზაზე აგებულია 32 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის 193 სასოფლო ჰიდროელექტროსადგური, რომელთა წლიური გამომუშავება 130 მილიონ კილოვატ-საათს აღემატება. სასოფლო ელექტროსადგურებისა და „საქენერგოს“ სისტემის ელექტროენერგიის ბაზაზე ახლა რესპუბლიკაში ელექტროფიცირებულია კოლმეურნეობათა 41 პროცენტი, მტს-ები, მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურები კი მთლიანად და ა. შ.

ბოლო წლებში როგორც ჩვენს სამშობლოში, ისე საზღვარგარეთ დიდ ელექტროსადგურებში ფართო გამოყენება ჰპოვა ავტომატიკამ და ტელემექანიკამ. კერძოდ, საქენერგოს სისტემის თითქმის ყველა ელექტროსადგური ამჟამად ავტომატიზებულია, რის შედეგადაც ენერგოსისტემაში მნიშვნელოვნად შემცირდა მომსახურე პერსონალის რაოდენობა და გაუმჯობესდა დანადგარების მუშაობის საექსპლოატაციო მაჩვენებლები.

ცხადია, მძლავრი ელექტროსადგურებიდან სასოფლო ელექტროსადგურებში ავტომატიკის მიღწევების მექანიკურად გადმოტანა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. სასოფლო ელექტროსადგურებს ახასიათებთ თავისებურება, (მოწყობილობისა და სქემების სიმარტივე, მუშაობის რეჟიმი და სხვ.), რაც მიღებულ უნდა იქნას მხედველობაში ავტომატიზაციის სქემების დამუშავების დროს.

მაგალითად, სასოფლო ელექტროსადგურის ავტომატიზაციისათვის საჭირო კონსტრუქციულად მარტივი, ექსპლოატაციაში საიმედო და იაფფასიანი აპარატურა.

მეცნიერმუშაკების ი. ქურდიანისა და ი. რუხვაძის დახმარებით ამას წინათ სასოფლო ელექტროსადგურების რესპუბლიკურმა საექსპლოატაციო კანტორამ დაამთავრა 3.000 კილოვატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის — ტირიფონჰესის ავტომატიზაციის სამუშაოები. ტირიფონჰესი სსრ-ჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი ავტომატიზებული სასოფლო ჰიდროელექტროსადგურია. აგრეგატების ამუშავება, გაჩერება, სინქრონიზაცია და მისი ქსელში ჩართვა ხორციელდება ავტომატურად, სამართავი პულტიდან. ამან საშუალება მოგვცა სადგური ვამუშაოთ ისე, რომ იქ არც ერთი კაცი არ გავაცდინოთ. ნორმალური მუშაობის რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში კი მორიგეს ეძლევა საცხოვრებელ ბინაში სიგნალი, რის შემდეგ იგი ვალდებულია მივიდეს ელექტროსადგურში, გაარკვიოს არანორმალური მუშაობის მიზეზი და მიიღოს საჭირო ზომები მათ სალიკვიდაციოდ.

რამდენიმე დღის წინათ საექსპლოატაციოდ გადაეცა ნაწილობრივ ავტომატიზებული სადგური — იგოეთჰესი (კასპის რაიონი). იგი მსგავსად ტირიფონჰესისა უახლოეს პერიოდში მთლიანად იქნება ავტომატიზებული. სადგური ჩართული იქნება საქენერგოს სისტემის ქსელში და ელექტროენერგიას მიაწვდის კასპის, გორის, დუშეთისა და ლენინგორის რაიონების 35 კოლმეურნეობას. ახლო მომავალში გადაწყვეტილია მოვახდინოთ დმანისჰესის (დმანისის რაიონი) მთლიანი ავტომატიზაცია. ტირიფონჰესის, იგოეთჰესის და დმანისჰესის ავტომატიზაციის შემდეგ, ექსპლოატაციის გამოცდილების საფუძველზე, ფართოდ განხორციელდება სხვა სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების ავტომატიზაცია.

ჩვენს რესპუბლიკაში ახალი, მეექვსე ხუთწლედის დასაწყისიდანვე სოფლის ელექტროფიკაციის შემდგომი გაფართოებისათვის დიდ სამუშაოთა შესრულებაა გათვალისწინებული.

ამჟამად ჩვენში მოქმედებს 8 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის 5 რაიონული ქვესადგური, რომელთა რიცხვი და სიმძლავრე შემდეგში კიდევ უფრო გაიზრდება. ამ ქვესადგურებში 50-ზე მეტი სპეციალისტი მუშაობს. ამ სპეციალისტების სხვა ადგილებსა და ობიექტებზე გამოსაყენებლად, მათი გათავისუფლების მიზნით გადაწყვეტილია მომავალ წელს სასოფლო რაიონული ქვესადგურების 10 კილოვოლტიან ფიდერებზე გავმართოთ სპეციალური მოწყობილობა — „განმეორებითი ავტომატური ჩამრთავი“.

უნდა განვახორციელოთ კიდევ ერთი სიახლე: სსრ კავშირის ელექტრომრეწველობის სამინისტროს ქარხნები უკვე ამზადებენ სასოფლო რაიონული ელექტროქვესადგურის მოწყობილობის კომპლექტებს. მოწყობილობის ეს კომპლექტი 35 პროცენტით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ჩვეულებრივი ქვესადგური. ამასთან მოწყობილობის ასეთი კომპლექტი როდი საჭიროებს სპეციალურ შენობას, იგი შეიძლება დავაყენოთ საგულდაგულოდ მისთვის ამოყვანილ საფუძველზე და მასში გავმართოთ 1.800-კილოვატიანი ტრანსფორმატორი. ასეთი ქვესადგურის მართვა ავტომატურად ხდება, არ საჭიროებს მუდმივ მორიგე პერსონალს. პირველი ასეთი ქვესადგურის გამართვა გათვალისწინებულია 1956 წელს — თიანეთის რაიონში.

ბოლო დროს ჩვენმა მრეწველობამ აითვისა აგრეთვე 6-10-კილოვოლტიანი ახალი ტიპის სატრანსფორმატორო ქვესადგურების გამოშვება. ქვესადგურის მთელი კომპლექტი ლითონის კონსტრუქციისა, არ საჭიროებს სპეციალურ შენობას და მეტად მცირე თანხა ჯდება. კოლმეურნეობას შეუძლია შეისყიდოს ასეთი ქვესადგური და საკუთარი ძალებით დააყენოს განკუთვნილ ადგილას. 1956 წლისათვის ამ ტიპის რამდენიმე ათეული ქვესადგური შემოტანილ იქნება ჩვენს რესპუბლიკაში.

გურჯაანის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღის, კაჭრეთის და ახმეტის რაიონებს კოლმეურნეობათა ელექტრომომარაგების გაუმჯობესების მიზნით დამუშავებულია და ახლა ზუსტდება კახეთის სადისპეტჩერო პუნქტის შექმნის ტექნიკური პროექტი, რომელიც მომავალი წლის პირველ ნახევარში უნდა განხორციელდეს. ეს ჩვენში პირველი სასოფლო ენერგოსისტემა იქნება, თანამედროვე ავტომატიკითა და ტელემექანიკით აღჭურვილი.

მოქმედი სასოფლო ელექტროსადგურების სიმძლავრეთა რეზერვების უკეთ გამოყენების მიზნით გადაწყვეტილია 1956-1957 წლებში დურიფშჰესის, ორბელჰესის, ხერთვისჰესის, ენინალჰესის და კახარეთჰესის ჩართვა საქენერგოს სისტემის ქსელში, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულებას და გაათავისებს საექსპლოატაციო მაჩვენებლებს. ეს საჭიროა იმიტომაც, რომ მთელი რიგი სასოფლო ელექტროსადგურები, მათ შორის ზემოთ ჩამოთვლილნიც, თავიანთ სიმძლავრეებს სრულად ვერ იყენებენ, მაშინ როცა შეიძლებოდა ელექტროენერგიის ამ რესურსებით რესპუბლიკის ელექტრობალანსის ნაწილობრივ გამოსწორება.

უკვე მიღებული გამოცდილება მთელი სიცხადით ადასტურებს სოფლის მეურნეობაში ელექტროენერგიის ფართო საწარმოო გამოყენების მაღალეფექტიანობას. ამას ცხადყოფს სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში სოფლის მშრომელთა ბრძოლა ახალი მიღწევების მოსაპოვებლად. საუკეთესო შედეგებს აღწევენ ის კოლმეურნეობები, სადაც ელექტრობა ფართო საწარმოო გამოყენებას პოულობს, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საკოლმეურნეო წარმოების ელექტროფიკაცია მხოლოდ მაშინ იძლევა მაღალ ეკონომიურ ეფექტს, როცა განხორციელებულია წარმოების კომპლექსური ელექტრომექანიზაცია. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის ჯერ კიდევ სრულად არა გვაქვს გამოყენებული შრომის ნაყოფიერების ზრდის ისეთი საშუალება, როგორიც არის ავტომატიკა, ტელემექანიკა და ელექტრონიკა.

ეს ჩამორჩენა ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ამ მიმართულებით სუსტად მუშაობენ სპეციალიზებული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და საკონსტრუქტორო ორგანიზაციები. ისინი ზევრ დროს, ძალას და საშუალებას ხარჯავენ დიდი ხნის წინათ შექმნილი მანქანების უმნიშვნელო გაუმჯობესებისათვის, ხოლო ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ახალი ტექნიკის, ახალი მანქანების და აპარატების შექმნას.

საკოლმეურნეო წარმოების ელექტროფიკაცია ისეთი დარგია, რომელიც სსრ-ჭოთა მეცნიერების, კონსტრუქტორების და ნოვატორებისაგან მოითხოვს ენერგიულ შემოქმედებითს მუშაობას იმისათვის, რომ შექმნან ელექტროფიცირებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების სრულყოფილი კონსტრუქციები.

ეს ამოცანა უნდა დაისახონ ერთ-ერთ მთავარ მიზნად საკონსტრუქტორო ბიუროებისა და სპეციალიზებული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერმა მუშაკებმა პარტიის XX ყრილობისათვის მზადების პერიოდში.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ახალი მანქანა, ახალი აპარატი თუ ხელსაწყო ჩვენი სახელოვანი პარტიის XX ყრილობისადმი მიძღვნილი საუკეთესო საჩუქარი იქნება.

ვ. მეტრეველი

ხაქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო ელექტროსადგურების სამმართველოს უფროსი.



ტირიფონჰესის საგენერატორო სადგურის სამანქანო განყოფილება. სურათზე: გენერატორები მათი სამართავი ავტომატებით.

მეტკიცედ დავიცვათ საბჭოთა კანონიერება

ახმეტის რაიონული საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე გ. ბიძინაშვილი) ...ნან და წელს ორჯერ განიხილა საკითხი, თუ როგორ ხორციელდება ...ონში საბჭოთა კანონები. საკითხის შესწავლასა და განხილვაში მონაწილეობა მიიღეს რაიონული საბჭოს აქტივისტებმა, აქტივმა. მათ მოურიდებლად ამხილეს ნაკლოვანებანი, რომლებიც ამ მხრივ იყო რაისაბჭოს აღმასკომის განყოფილებებში, მტს-ებში, ...ტყის სახერხ ქარხანაში და სხვ. აღმასკომმა განახორციელა ქმედითი ღონისძიებანი რაიონის საწარმო-დაწესებულებებში შრომის დისციპლინის განმტკიცებლად და მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვაში წესრიგის დასამყარებლად.

მიუხედავად ამისა, რაიონის კოლმეურნეობებში ზოგჯერ მაინც არასწორად, კანონსაწინააღმდეგო დადგენილებანი გამოაქვთ. რაიონული საბჭოს აღმასკომი სათანადო შემოწმების შემდეგ ასეთ დადგენილებებს აუქმებს. ...ალითად, მიმდინარე წლის 13 ივნისს სოფელ დუმასტურის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ მეევნეებს დავალა ნათესებში შესული ...ერები დაეხოცათ. კრების ეს არაკანონიერი გადაწყვეტილება სამართლიანად გააუქმა რაიონული საბჭოს აღმასკომმა.

ახმეტის რაიონში გადასახადებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების არასწორად შეწერის ფაქტებიც ...ის. წელს აღმასკომმა მარტო გადასახადების უკანონოდ შეწერის შესახებ 60-ზე მეტი განცხადება მიიღო. რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობათა წევრთა ხელაღებით გარიცხვის ფაქტებია. ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ...ტრე კახოიძემ 1952 წელს 427 შრომადღე გამომუშავა, 1953 წელს საავადმყოფოში წასვლის გამო კოლმეურნეობიდან დროებით განთავისუფლება ითხოვა. მისი თხოვნა დაკმაყოფილეს. ცხადია, ამ წელს მას კოლმეურნეობაში აღარ უმუშავია. 1954 ...ის 11 იანვარს კოლმეურნეობამ ...კახოიძე წევრობიდან გარიცხა და, ...უხედავად იმისა, რომ რაიონული საბჭოს აღმასკომს მისი საკითხი განხილული არ ჰქონდა, საკარმიდამო ნაკვეთი ჩამოართვა. მის შემდეგ კახოიძე ...ამრავ საჩივარს წერს, კოლმეურნეობაში აღდგენას თხოულობს, მაგრამ დაკმაყოფილებელ პასუხს არავინ აძლევს. არასწორად მოიქცა რაისაბჭოს ...ასკომიც. მან მიმდინარე წლის 19 ...ვისტოს პ. კახოიძე კოლმეურნეობიდან გასულად ჩათვალა, მაშინ როცა ...კახოიძემ გასული წელს 138 შრომადღე გამოიმუშავა.

...სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში ხაზგასმით არის აღნიშნული სასჯელის ზომები (გაფრთხილება, საყვედური, საერთო კრებაზე გაკიცხვა, დაჯარიმება, სამუშაოდან დროებით მოხსნა და სხვ.) იმ კოლმეურნეების მიმართ, რომლებიც საპატიო მიზეზის უქონლად საკოლმეურნეო სამუშაოზე არ გამოდიან, დისციპლინას არღვევენ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არტელის მიერ მიღებული აღმზრდელობითი და სხვა სასჯელის ზომები არ გაჭრის, გამგეობა საერთო კრებაზე სვამს კოლმეურნეობის გამოუსწორებელი წევრის არტელიდან გარიცხვის საკითხს. წესდების ამ მოთხოვნას არ იცავენ ქვემოალვანის კოლმეურნეობაში.

რაიონული საბჭოს აღმასკომი, აუქმებს რა ამა თუ იმ კოლმეურნეობის გამგეობის უკანონო დადგენილებას, ზოგჯერ თვითონვე უშვებს უკანონობას. ხორხელის კოლმეურნეობამ 27 კოლმეურნეს დააწერა რამდენიმე ასეული კილოგრამი სიმინდი იმისათვის, რომ მათ გეგმით გათვალისწინებული მოსავალი ვერ მიიღეს. კოლმეურნეობის გადაწყვეტილება აღმასკომმა გააუქმა და სწორადაც მოიქცა, მაგრამ ამავე დროს აღმასკომმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს საყვედური გამოუცხადა. ამის უფლება კი აღმასკომს არა აქვს — კოლმეურნეობის თავმჯდომარე წევრთა საერთო კრებამ უნდა დასაჯოს და არა აღმასკომმა.

ცნობილია, რომ რაიონულ საბჭოსთან არსებობს ადმინისტრაციული კომისია, რომელიც მოწოდებულია მტკიცედ დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი. მის მუშაობას მილიციის რაიონული განყოფილების უფროსი ან აღმასკომის რომელიმე წევრი უნდა წარმართავდეს. ახმეტის რაისაბჭოს აღმასკომს, როგორც ირკვევა, წინათ დაუმტკიცებია ადმინისტრაციული კომისია, მაგრამ უკვე ორი წელია ამ კომისიის არსებობის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს.

ახმეტაში იშვიათი როდია სასადილოებში, საზოგადოებრივი თავმოყრის ადგილებში, რაიონულ ცენტრსა და სოფლებში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები. ადმინისტრაციული კომისია რომ კარგად მუშაობდეს, ასეთი შემთხვევები შემცირდებოდა.

ახმეტის რაიონული საბჭოს აღმასკომმა გადაჭრით უნდა გააძლიეროს მუშაობა სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვისათვის, სათანადო ზომები მიიღოს კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ და არ დაუშვას მოქალაქეთათვის კანონით მინიჭებულ უფლებათა შელახვა.

ს. ქოჩლაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„დაპირება საქმეს არ შველის“

...ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 17 სექტემბრის ...ომერში გამოქვეყნებული იყო წერილი, რომ...თაც მწრომელები მოითხოვდნენ მდინარე რი...ზე საავტომობილო ხიდის აგებას.

...ღნიშნულ წერილთან დაკავშირებით საქარ...ველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა ...ა გზატკეცილების სამინისტრო რედაქციას ატყობინებს, რომ ქუთაისის რაიონის მშრომელთა მოთხოვნა სამართლიანია. მდინარე რიონზე საავტომობილო ხიდის აგების საკითხი ქუთაისის რაიონის ხელმძღვანელობის მიერ დასმული იყო სათანადო ორგანოების წინაშე. ხიდის მშენებლობა გათვალისწინებულია მომავალ წელს.

თბილისის კომკავშირული აქტივის კრება

თბილისის აბალგაზრდობის მრავალმა წარმომადგენელმა მოიყარა თავი 24 ოქტომბერს რუსთაველის სახელობის თეატრში. აქ გაიმართა თბილისის კომკავშირული აქტივის კრება, რომელიც გახსნა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ხირაძემ.

აბალგაზრდობისა და სტუდენტთა ვარშავის მეხუთე მსოფლიო ფესტივალის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი თ. ჯანელიძემ.

აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი გ. გამცემლიძე, მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ზ. მაზარაძე და 46-ე საშუალო სკოლის მოსწავლე პიონერი ლ. შარაშიძე. აქტივს თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს ფესტივალის მონაწილეებმა რ. ბერაძემ და ა. დვალმა.

აქტივის კრებაზე საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამადლობელი სიგელები გადაეცათ ფესტივალის მონაწილეებს ე. გვაზავას და ც. ციცქიშვილს (საქართველოს ფილარმონია), ფესტივალის ლაურეატებს ზ. ლომთათიძეს, ი. ზედაშიძეს (სახელმწიფო უნივერსიტეტი), ზ. ფირცხალაიშვილს, გ. ბერაძეს (პოლიტექნიკური ინსტიტუტი). საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამადლობელი სიგელებით დაჯილდოებული არიან ფესტივალის მონაწილენი ა. დვალი, ვ. გუნაშვილი (ოპერისა და ბალეტის თეატრი), გ. მერგიბაშვილი, ჰ. ბერიაშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

კრების შემდეგ გამართულ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ფესტივალის მონაწილეებმა, თბილისის თეატრებისა და ფილარმონიის საუკეთესო არტისტულმა ძალებმა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სალსტრადო ორკესტრმა და საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის მოცეკვავეთა ansamblმა.

ჩეხოსლოვაკიელ და გათუმელ მოსწავლეთა მეგობრობა

ბათუმი. (საკ. კორ.). დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ ბათუმის № 15 საშუალო სკოლისა და ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ოგლავის № 1 საშუალო სკოლის მოსწავლეებს. ამ მეგობრობას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წლებში, როცა საბჭოთა ჯარებმა ფაშისტური უღლისაგან გაათავისუფლეს ჩეხოსლოვაკია. მაშინ ოგლავაში ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმის № 15 საშუალო სკოლის მასწავლებელი ვ. სტოდოლნიკი და ოგლავის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი ბ. ბეზდიკოვსკი. ომის შემდეგ მათი მეგობრობა გადაიზარდა ამ ორი სკოლის მოსწავლეთა მეგობრობაში.

ოგლაველი და ბათუმელი პიონერები და კომკავშირელები გულთბილ მეგობრულ წერილებს სწერენ ერთმანეთს, უგზავნიან სახუქრებს, ფოტოალბომებს, წიგნებს, უზიარებენ შთაბეჭდილებებს, ერთმანეთს უამბობენ სწავლისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ. ბათუმელმა მოსწავლეებმა მოაწყეს ჩეხოსლოვაკიელ მეგობართა სახუქრების საჭალაქო გამოფენა.

ამას წინათ ბათუმის № 15 სკოლაში სასიამოვნო ცნობა მიიღეს — ჩეხოსლოვაკიის მთავრობის გადაწყვეტილებით ქალაქ ოგლავის № 1 საშუალო სკოლას ბათუმელ მოსწავლეებთან მჭიდრო მეგობრობის აღსანიშნავად მიენიჭა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის სახელი. სკოლის ეზოში შეიკრიბნენ პიონერები, მშობლები, კომკავშირელები, სტუმრები. გაიმართა მიტინგი. შეკრებილთ ამ მეგობრობის შესახებ ესაუბრა პედაგოგი ვ. სტოდოლნიკი.

აპარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რ. კომახიძემ დამსწრეთ გააცნო ბრძანებულება ბათუმის № 15 საშუალო სკოლისათვის ჩეხოსლოვაკიელი ხალხის გმირის, პროგრესული ახალგაზრდობის საყვარელი მწერლის იულიუს ფუჩიკის სახელის მინიჭების შესახებ.

მანდარინის კრეფა ახალშენის ხაბჭოთა მეურნეობაში (აჭარის ასსრ).

ფოტო ვ. ბაბაიანისა.

აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები ციტრუსების კრეფა-გადამუშავებისათვის მზადებაში

წელს აჭარაში 172 მილიონზე მეტი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი უნდა მოიკრიფოს ნაცვლად გასულ წელს ფაქტიურად მიღებული 60 მილიონისა. ეს მდგომარეობა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ციტრუსების მეურნეობებსა და შემფუთავ ქარხნებს, რათა დროზე, უდანაკარგოდ აიღონ და გადაამუშაონ მოსავალი. ციტრუსოვანთა მოსავლის აღება-გადამუშავებისათვის აჭარაში წელს უკეთ მოემზადნენ, ვიდრე გასულ წლებში.

მოსავლის აღებისათვის ყოველმხრივ მზად არიან ახალშენის, მახინჯაურის, გონიოს, ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობები, ბათუმის რაიონის პერეულხინის სახელობის, ოზურგეთის რაიონის ჯალინის სახელობის, ჭოროხილოვის სახელობის, მოლოტოვის სახელობის, ხუცუბნის სტალინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ისინი მომარაგებული არიან საკრეფი ინვენტარით, ტრანსპორტით, უზრუნველყოფილი არიან მუშახელით, წესრიგზე მოყვანილია საპლანტაციო გზები.

ახალშენის, მახინჯაურის, ციხისძირის და ზოგიერთ სხვა საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე უკვე დაწყო ციტრუსოვანთა ნაყოფის შერჩევით კრეფა. ბათუმის მესაზე და ჩაქვის შემფუთავმა ქარხნებმა მიიღეს ციტრუსოვანთა ნაყოფის პირველი პartია და შეუდგნენ მის გადამუშავება-გაგზავნას.

მაგრამ ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-გადამუშავების სეზონისათვის მზადებაში აჭარის მეციტრუსე კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და ციტრუსშემფუთავ ქარხნებს არსებითი ნაკლოვანებები აქვთ. ბათუმის რაიონის: ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შეუკეთებელია სოფლების აგარისა და ყოროლისთვის სასოფლო და საპლანტაციო გზები, შესაკეთებელია ერთი ავტომანქანა. ასევეთვე მდგომარეობაა ქობულეთის რაიონის ქალაქუთისა და ზედა კვირიკეს კოლმეურნეობებშიც.

ქობულეთის შემფუთავ ქარხანაში (დირექტორი დ. ჭყონია) 21 ოქტომბრისათვის დამთავრებული არ იყო დამბარისხენელი აგრეგატის დაგება, ანტისანიტარიულ მდგომარეობაშია ქარხნის ტერიტორია, მუშათა ბინების რიგში ტანი გაკეთებულია უხარისხოდ, მეოთხე საცხოვრებელი სახლი შეუკეთებელია და ავარიულ მდგომარეობაშია. საკვირველია, რომ ამ მდგომარეობას დამშვიდებით შესცქერიან აჭარის ციტრუსხილდამზადების კანტორის ხელმძღვანელი მუშაკები.

ქარხნის ტექნიკური ხელმძღვანელი გ. ბუღლრიშვილი თვეობით არ არის საწარმოში, რითაც ხელი ეშლება ხილისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის მიღება-გადამუშავების საქმეს.

მოუმზადებელია რკინიგზის ქობულეთის სადგურის ბაქანი, საიდანაც ქარხანამ უნდა გაგზავნოს მილიონობით ციტრუსოვანთა ნაყოფი. აქ გაყვანილი არ არის ელექტროგანათება.

სეზონისათვის მზად არ არის ბობოყვათის შემფუთავი ქარხანა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ქარხნის შეკეთება და წესრიგზე მოყვანის სამუშაოები აჭარის ციტრუსხილდამზადების კანტორამ დაგვიანებით დაიწყო. სახურავიდან წყალი ჩამოდის, წესრიგზე არ არის მოყვანილი დამყალიბებელი მანქანები. საჭიროა 150 მუშის ნაცვლად არის მხოლოდ 30. სანაზეუროდაც არ ჰყოფნით შესაფუთავი ფასალა. ნელი ტემპით მიმდინარეობს გასაგზავნი ყუთების დამზადებაც. ეს მდგომარეობა საფრთხეში აყენებს ქარხნის მომსახურების რაიონის სოფლების დაგვიანება და ბობოყვათის კოლმეურნეობათა სამუშაო ტარით უზრუნველყოფის საქმეს.

ჩაისუბნის შემფუთავ ქარხანას დღემდე არა აქვს გამოყოფილი მომსახურების ზონა, არა აქვს დაზუსტებული გეგმა. 130 მუშის ნაცვლად აღებულზე 30 მუშა ჰყავთ. საერთო საცხოვრებლისა და ქარხნის ფანჯრებში ჩასასმელია მინა. ჭიათურიდან საერთო საცხოვრებელში ელექტროსინათლის გაყვანა.

დრო არ ითმენს. ბალე აჭარაში გაჩაღდება ციტრუსოვანთა მოსავლის მასობრივად აღება. ქობულეთისა და ბათუმის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების და ციტრუსხილდამზადების კანტორის სისტემის მუშაკთა პატრიოტული ვალია სასწრაფოდ აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებები და სანიმუშოდ მომზადებულნი შეხვდნენ ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-გადამუშავების სეზონს, მისცენ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

რედის მონაწილენი:

ა. მაჭარაძე,

აჭარის ასსრ ხოფლის მეურნეობის სამინისტროს ციტრუსების უფროსი აგრონომი.

კ. სალუქვაძე,

ბათუმის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ციტრუსების აგრონომი.

რ. გოგიტიძე,

პარტიის ქობულეთის რაიკომის ინსტრუქტორი მტს-ის ზონაში.

დ. პაიჭაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მხატვრული ფილმების საუკეთესო სცენარებზე საკავშირო კონკურსის პირველი ტურის ჩატარების შესახებ

ამ დღეებში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა მხატვრული ფილმების საუკეთესო სცენარებზე სრულიად საკავშირო კონკურსის პირველი ტურის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები.

კონკურსზე შემოსული ხელნაწერების განსახილველად დამტკიცებულია კონკურსის პირველი (შერჩევითი) ტურის რესპუბლიკური ჟიური შემდეგი შემადგენლობით: ა. გუნია (თავმჯდომარე), გ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, ა. ბელიაშვილი, გ. გიგოლაშვილი, ს. დოლიძე, რ. თაბუკაშვილი, ვ. კუპრავა, კ. ლორთქიფანიძე, გ. მარგველაშვილი, მ. მრევლიშვილი, ნ. სანიშვილი, ვ. ქოჩორაძე, დ. შენგელაია, ს. ჩიქოვანი, ვ. ჭიაურელი, ს. ჭილაია.

დამტკიცებულია აგრეთვე რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი კონკურსის პირველი ტურის საორგანიზაციო-პრაქტიკული მუშაობის ჩასატარებლად ვ. ჭიაურელის თავმჯდომარეობით.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს განზრახულია აქვს ახლო მომავალში გაგზავნოს ჟიურისა და საორგანიზაციო კომიტეტის წევრები სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, სტალინირში და სხვა ქალაქებში კონკურსის საკითხებზე სპეციალური კონსულტაციების მოსაწყობად და მწერლებთან შემოქმედებითი შეხვედრების ჩასატარებლად.

კულტურის ადგილობრივ განყოფილებებს დაეგზავნათ წერილები და კონკურსის პირობები ადგილობრივი მწერლებისა და დამწყები ავტორებისათვის გასაცნობად, კონკურსში მათი ფართოდ მიზიდვის მიზნით.

კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებზე საჭირო კონსულტაციას ავტორებს შეუძლიათ მიიღონ საკავშირო კონკურსის პირველი ტურის საორგანიზაციო კომიტეტში შემდეგი მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპექტი 164, კინოსტუდია „ქართული ფილმი“.

შეხვედრა პოეტებთან

ბურჯაანი. (საკ. კორ.). ყორდანახის საკოლმეურნეო კლუბში მწერმოელები შეხვდნენ პოეტებს — სტალინური პრემიის ლაურეატს ნიჩეილ ლუკონინსა და იოსებ ნონეშვილს.

მ. ლუკონინისა და ი. ნონეშვილის შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ყორდანახის საშუალო სკოლის მასწავლებელმა მარიამ ბოლაშვილმა. პოეტებს მიესალმნენ მასწავლებელი მ. მათიაშვილი, ეკიმი ტ. ხელაშვილი, მოსწავლეები მ. ქუმსიაშვილი და ხელაშვილი. X კლასის მოსწავლემ დ. ათოიევმა წაიკითხა პოეტისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

მ. ლუკონინისა და ი. ნონეშვილის მიერ წაკითხულმა ლექსებმა საღამოს მონაწილეებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

საღამოს დასასრულს ყორდანახის საშუალო სკოლის ძალებით გაიმართა კონცერტი.

თეატრი

„დავით გურამიშვილი“

გორის თეატრის სპექტაკლი

დავით გურამიშვილის ბიოგრაფია, ...ისი შემოქმედება მდიდარ შესაძლებლობას იძლევა დრამატული ნაწარმოების შესაქმნელად. ეს შესაძლებლობა კარგად გამოიყენეს მწერლებმა ...ალვა დადიანმა და როდიონ ქორქიამ. ...ათ დავით გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავთან დაკავშირებით ...აწერეს ოთხმოქმედებიანი დრამა, ...ომელიც განახორციელა გორის ... ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრმა. პოეტის იუბილის ...ღეებში გორის თეატრის ეს სპექ...ტაკლი ნაჩვენები იქნა გრიზოედოვისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატ...ების სცენებზე, რასაც თბილისელი ...აყურებელი გულთბილად შეხვდა.

დავით გურამიშვილი, როგორც თა...ისი დროის განათლებული და მოწი...ავე ადამიანი, ერთგული დამცველი ...ყო ვახტანგ VI-ის პოლიტიკისა, რო...ელიც შემდეგში მდგომარეობდა: ...აქართველოს აღმოსავლეთში მეგობა...ი არა ჰყავს, შიგნით საქართველო ...დაშლილი და დაუძლურებულია, ამ...ტომ საჭიროა კულტურული და ძლიე...ი მოკავშირის ძებნა. ასეთი კი იყო ...რუსეთი. იმდროინდელი პროგრესული ...ალები, მათ შორის პირველ რიგში ...ახტანგი და დავითი მხოლოდ რუსეთთან კავშირში ხედავდნენ ქართველი ...ერის ხსნას. ეს მომენტი პიესაში კარგად არის დანახული და ოსტატურად ...ორეშესხმული.

პიესის ძირითადი ხაზები მისდევს ...დავით გურამიშვილის ტრაგიკული ...ბიოგრაფიის მთავარ მომენტებს, მაგრამ ბიოგრაფიის თვითეულ დეტალში ...ეგრძნობა მე-17 საუკუნის საქართველოს ავბედითობა.

პიესის მიხედვით დავით გურამიშვილის ტრაგედია იწყება საქართველოში ...მისი დატყვევებით და გრძელდება ...რუსეთში თავის საცოლესთან განხეთქილებით. ეს განხეთქილება პირადული ამბებით როდია გამოწვეული. დავითის საცოლეს ქეთევანს, ისევე როგორც ქეთევანის მამას დემეტრე სარდალს, არა სურს რუსეთში დიდი ხნით დარჩენა. ქეთევანი ანგარიშს არ უწევს შექმნილ მდგომარეობას, იგი არ ითვალისწინებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივებს, არც იმას, რომ ამ ურთიერთობის გაუმჯობესებაში დიდი როლის შესრულება შეუძლია ვახტანგის ამალას, რუსეთში მყოფ ქართველობას და დავითისაგან მოითხოვს საქართველოში დაბრუნებას. დავითს, როგორც პროგრესულ პიროვნებას და პოლიტიკურ-საზოგადო მოღვაწეს, არ შეეძლო ქეთევანის ამ წინადადებას დათანხმებოდა. პოეტი გულისტკივილით, მაგრამ გაბედულად ეთხოვება საქართველოში მიმავალ სატრფოს. დავითმა საზოგადოებრივი საქმის გამო დასთმო თავისი პირადი ბედნიერება. სწორედ აქ ვლინდება პიესის მთავარი იდეური მიზანდასახულობა.

პიესაში შესანიშნავად არის ხაზგასმული დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის დამახასიათებელი მთავარი მომენტები. რომ ადამიანმა შეიძლება დაკარგოს პირადი ბედნიერებაც, ქონებაც, თანამდებობაც, ბევრი ტანჯვა იგემოს ცხოვრებაში, მაგრამ თუ მას გზას უნათებს დიდი საზოგადოებრივი იდეა, მისი ცხოვრება გამართლებულია, მისი საქმე უკვდავია. ამას კარგად გამოხატავს დავითის უკანასკნელი სიტყვები: „კვლავ მარტო დავრჩი... წავიდა ბატონიშვილი... აღარც ქეთევანი... აღარც ქართველები... აღარც გრიკო... აღარც ძე ჩემი—„დავითიანი“... თუმცა წიგნი ჩემი მიუვა საქართველოს და ვიქნები ცოცხალი, ვიდრე იღერებს სიტყვა ქართული“.

პიესასა და სპექტაკლში დავით გურამიშვილი დიდ შემოქმედად გვევლინება, რომელიც ჭირსა და ლხინში თავის პოეზიას იშველიებს როგორც იარაღს, როგორც თავისი პირადი, ისე ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების გამოხატვის საშუალებას. იგი ხალხთა მეგობრობის მომღერალია. დავით გურამიშვილმა ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა უმღერა დიდ რუს და უკრაინელ ხალხს. გულში ჩამწვდომად გაისმის ტყვეობიდან გამოქცეული და რუსი კაზაკების მშობლიური მოპყრობით აღფრთოვანებული პოეტის სიტყვები: „გმადლობთ, უცნობო და ახალო მეგობრებო, ახლა ვხედავ, თუ რატომ წამოვიდა მეფე ვახტანგი თქვენს ქვეყანაშიო“. მომძე რუსი და უკრაინელი ხალხებისადმი ასე მეგობრულად განწყობილმა დავითმა უკრაინაში დაბინავებისას ადგილობრივ გლეხებს აღფრთოვანებით მიმართა: „მე ყმეზთან როდი მოვსულვარ, მე ძმებთან მოვედიო“. ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, რუსი და უკრაინელი ხალხების კეთილშობილების ეს იდეა პიესას თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს.

პიესის ღირსებათა შორის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ რუსეთში მყოფი ქართველების როლი ისტორიული სამართლით არის დადმოცემული. სამშობლოდან გადახვეწილი და რუსეთის მფარველობაში მყოფ ქართველებს შენარჩუნებული აქვთ ეროვნული თავმოყვარეობა და კარგად აქვთ შეგნებული რუსეთის როლი აღმოსავლეთთან ურთიერთობაში. ეს იდეა შესანიშნავად არის გადმოცემული მეექვსე სურათში.

ვახტანგ VI—დიდი საზოგადო მოღვაწე—რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აუცილებლობაში ღრმად დარწმუნებული, და მის გარშემო შემოკრებილი ქართველები დავითი, სახლთუხუცესი მერაბი, სარდალი და დიდებული ნოდარი, იანვარა, ჯავახიშვილი, პაპა ქიტესა დრამატურგებმა ხორცშესხმულად დაგვიხატეს. მათი სახით ჩვენ ვხედავთ სიმართლისათვის თავდადებულ, სიძნელეთა წინაშე ქედმოუხრელ, გაუტეხელი სულის ადამიანებს.

შ. დადიანისა და რ. ქორქიას პიესა „დავით გურამიშვილი“ უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ქართულ დრამატურგიაში. პიესა გვხიბლავს ენობრივადაც.

პიესას ნაკლიც აქვს. მისი სიუჟეტი ყოველთვის არ არის დაფუძნებული დაძაბულ სიტუაციებზე, ამიტომ ზოგიერთი სურათი დუნედ მიდის. დავითის დაშორება ქეთევანთან მოსალოდნელი იყო უფრო დრამატული იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ქეთევანი თავისი მოქმედებით დავითის ერთგულია. მართალია, დავითი ქეთევანს შორდება პოლიტიკური მოსაზრებებით, მაგრამ ისეთი პოეტური ბუნების ადამიანი, როგორიც დავითი იყო, ამ დიდ მსხვერპლს ასე იოლად ვერ გაიღებდა.

უკანასკნელი სურათი ერთი შეხედვით ეპილოგის შთაბეჭდილებას ტოვებს. დრამატურგებს დავითის ახალგაზრდობიდან პირდაპირ გადავყევართ მის მოხუცებულობაში. მეტი დრამატიზმი იყო საჭირო დავითის დატყვევების სცენაშიც.

გორის სახელმწიფო თეატრის ნიჭიერ კოლექტივს სიყვარულით უმუშავნია დიდი ქართველი პოეტისადმი მიძღვნილი სპექტაკლის შესაქმნელად. ყურადღებას იპყრობს რეჟისორის ნაშუშავარი (რეჟისორები ს. ვაჩნაძე და ვ. ფაჩულია). რეჟისორს უპირველესი მიღწევა ის არის, რომ ისტორიულ მასალაზე დაწერილი პიესა დაახლოებულია თანამედროვე განწყობილებასთან, დავით გურამიშვილის შემოქმედების საბჭოთა თვალსაზრისით გაგებასთან. პერსონაჟთა სახეები გახსნილია უაღრესად რეალისტურად, ეპოქა გადმოცემულია კოლორიტულად. დიდი გემოვნებით არის დამუშავებული როგორც დავითის, ისე ვახტანგ მეფის, რუსი გენერლის, დემეტრე სარდლის, მისი მეუღლე დარეჯანის, ქიტესას, იანვარას, რუსი კაზაკის და უკრაინელი გლეხის სახეები. მაყურებელზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს სცენები — დუელი, ვახტანგის კარი, თათბირი დიდებულებთან დაღისტნის ექსპედიციის მოწყობის შესახებ, ვახტანგ მეფის სიკვდილი, დავითისა და ქეთევანის დაშორება და ფინალი. პროლოგსა და ეპილოგში მირგორიდში აღმართული დავით გურამიშვილის მონუმენტის გამოჩენა რეჟისორულად კარგად არის მოფიქრებული და გადაწყვეტილი.

სპექტაკლის წარმატებას, მაყურებელზე მის ზემოქმედებას დიდად უწყობს ხელს მხატვარ კ. კვალიაშვილის ნამუშევარი. მხატვარს გემოვნებით შეურჩევია ფერები საქართველოს, რუსეთისა და უკრაინის პეიზაჟების გადმოსაცემად. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს ლამისყანის, ზუბოვკის და რუსული ზამთრის პეიზაჟები. მხატვარს უთუოდ დიდი მუშაობა გაუწევია კოსტიუმების შესასრულებლად.

ხალხურ მოტივებზე აგებული კომპოზიტორ ს. მირიანაშვილის მუსიკა სასიამოვნო ემოციებს იწვევს მაყურებელში.

სამშობლოდან გადახვეწილი, საწუთროსაგან დატანჯული, მრავალჭირგადახდილი, მაგრამ სულით გაუტეხელი დიდი შემოქმედის დავით გურამიშვილის დასამახსოვრებელი სცენიური სახე შექმნა მსახიობმა ვ. ცხვარიაშვილმა. მისი დავითი დინჯი, აუჩქარებელი, მტკიცე ნებისყოფის მქონე და შორსმჭვრეტელი პოეტი-მეომარია. განსაკუთრებით კარგად განასახიერებს იგი მოხუცი დავითის როლს.

რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა შ. ხერხეულიძემ მეფე ვახტანგის კოლორიტული სახე შექმნა. მსახიობს კარგად შეუგრძნია ჭკვიანი, მაგრამ ირანელ-თურქ დამპყრობლებთან ბრძოლაში ფიზიკურად დაღლილი, სამშობლოდან განდევნილი, უუფლებო მეფის ბუნება. მსახიობს მართებს განაგრძოს მუშაობა ამ სახეზე, უფრო დახვეწოს იგი, რათა სრული გარდასახვა მოახდინოს.

მსახიობ ა. კალანდარიშვილის შესრულებით დემეტრე სარდალი წარმოგვიდგება თავისი ქვეყნის დიდ პატრიოტად და მედგარ მებრძოლად. დემეტრე სარდალი ზრძოლის სურვილით არის გამსჭვალული და ლამობს თავისი ქვეყნის განთავისუფლებას საკუთარი ძალებით. თუ ასეთი ნაბიჯი ვერ გადადგა, ეს გამოწვეულია ვახტანგ მეფისადმი ერთგულებით. დიდი სულიერი ბრძოლაა დემეტრე სარდალში. ის ბევრ საკითხში არ იზიარებს ვახტანგის, დავითის და სხვა პატრიოტების შეხედულებებს. ეს შინაგანი ბრძოლა კარგად არის წარმოსახული მსახიობის მიერ.

დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს რუსი გენერლის როლში მსახიობი გ. ციცქიშვილი. რუსი ადამიანის კეთილშობილება და გმირობა სავსებით გამოვლინებულია მსახიობის თამაშში.

მსახიობი რ. ლორთქიფანიძე დემეტრე სარდლის მეუღლის დარეჯანის როლში გვაგრძნობინებს დარბაისელი, ჭკვიანი, თავისი ღირსების დამცველი, დიდი პატრიოტი ქართველი ქალის სახეს.

დავით გურამიშვილის საცოლე ქეთევანი დრამატურგთა ტექსტის მიხედვით დიდი პატრიოტი და ძლიერი ნებისყოფის ადამიანია. მსახიობ ვ. ბერუაშვილის შესრულებით კი ეს სრულყოფილად არ იგრძნობა. მას ნაზად, მეტისმეტი ლირიზმით მიჰყავს როლი მაშინაც კი, როცა ესა თუ ის სიტუაცია მეტ დაძაბულობას და დრამატიზმს მოითხოვს. ჯავახიშვილის როლს უფერულად წარმოგვიდგენს აგრეთვე მსახიობი ბ. ღონღაძე.

რა ბუნებრივად, რა დამაჯერებლად და სიმართლით წარმოგვისახავს მსახიობი ი. ოსაძე გათვითცნობიერებული ქართველი გლეხის იანვარას როლს! ასევე გვხიბლავს პაპა ქიტესას როლში მსახიობი ს. გრიქუროვი.

აღსანიშნავია აგრეთვე მსახიობების ვ. კახნიაშვილის (ივან ივანიჩი), ე. არაქელოვის (სახლთუხუცესი მერაბი), ვ. გაბისიანის (გრიკო), ვ. მაზმიშვილის (პირველი მოხელე), გ. არზოლაშვილის (მსახური) კარგი თამაში.

გორის სახელმწიფო თეატრმა წარმატებით განახორციელა შ. დადიანისა და რ

ბელგრადიდან გამოემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია

ბელგრადი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დილით ბელგრადიდან სპეციალური თვითმფრინავით სამშობლოში გაფრინდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია.

დელეგაცია ზემონის აეროდრომზე გააცილეს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის საკავშირო ვეჩის თავმჯდომარემ ვ. ზეჩევიჩმა, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის წევრმა ვ. სტოინიჩმა, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ხ. ბრკიჩმა, ბელგრადის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. მინიჩმა, საგარეო საქმეთა სახელმწიფო სამდივნოს სრულუფლებიანმა მინისტრმა დ. ჯურიჩმა, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დეპუტატებმა რ. ნედელკოვიჩმა, ბ. ცვეტიჩმ, და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

დელეგაცია აგრეთვე გააცილეს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იუგოსლავიაში ნ. პ. ფიროუბინმა, საბჭოთა კავშირის ბელგრადის საელჩოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა, საბჭოთა და იუგოსლავიის პრესის წარმომადგენლებმა.

საბჭოთა სპარლამენტო დელეგაციის მეთაურმა ა. პ. ვოლკოვმა აეროდრომზე შემდეგი განცხადება გააკეთა:

ძვირფასო მეგობრებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, ტოვებს რა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიას, გულითად მადლობას უძღვნის საკავშირო სახალხო სკუპშჩინას, იუგოსლავიის მთავრობას და მთელ იუგოსლავ ხალხს გულთბილი მიღებისათვის, რომელიც ჩვენ გგზეწიეს. ჩვენ ეს მიგვაჩნია იმის გამოვლინებად, თუ რა გულწრფელი და მეგობრული გრძნობებით არიან გამსჭვალული იუგოსლავიის ხალხები საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი.

ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ საბჭოთა ადამიანების გული გამსჭვალულია მზრუნველ მისწრაფებით — სამარადისო მეგობრობით იცხოვრონ იუგოსლავიის ხალხებთან. გისურვებთ თქვენ, ხოლო თქვენი სახით იუგოსლავიის ყველა ხალხს, შემდგომ დიდ წარმატებებს ახალი სოციალისტური იუგოსლავიის მშენებლობის საქმეში. მარად ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს ურღვევი მეგობრობა იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის!

დასავლეთის სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი პარიზში

პარიზი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. უფრო გვიან მათ უნდა შეუერთდეს დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი. როგორც პარიზის პრესა აღნიშნავს, ამ სეპარატული მოლაპარაკების მიზანია „დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის შეთანხმება“ ოთხ სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ყენევის თათბირის წინ, განსაკუთრებით იმ უთანხმოების გამო, რომელიც, გაზეთების სიტყვით, გამოვლინდა სამი სახელმწიფოს ექსპერტების ამას წინათ პარიზში გამართულ თათბირზე. გაზეთი „ფიგარო“, კერძოდ, წერს, რომ უთანხმოება არსებობს ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის გერმანიისა და ევროპის უშიშროების სისტემის საკითხი.

ყენევის თათბირისათვის მზადების გეგმით დასავლეთის სახელმწიფოები იწვევენ აგრეთვე დასავლეთ ევროპის კავშირის მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირს და ნატო-ს (ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის) წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირს. თათბირების მთელი ეს სერია გაგრძელდება დღეს და ხვალ, რის შემდეგ დილესი, მაკმილანი და პინე ყენევას გაემგზავრებიან.

რეფერენდუმი საარში

საარის „ევროპის სტატუტი“ უარყვეს

პარიზი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ რეფერენდუმი მოეწყო საარის ეგრეთწოდებული „ევროპის სტატუტის“ საკითხზე. კენჭისყრა საარში მთელ დღეს გაგრძელდა. 23 ოქტომბერს ღამით ცნობილი გახდა ხმების დათვლის წინასწარი შედეგები. როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, ამომრჩეველთა (423 ათასი) 67,7 პროცენტმა ხმა მისცა სტატუტის წინააღმდეგ, რომელიც, ამრიგად, უარყოფილია.

რეფერენდუმის მსვლელობაში საარელებს წინადადებით მიმართეს ეთქვათ „კი“ ან „არა“ კითხვაზე: „იწონებთ თუ არა თქვენ ევროპის სტატუტს?“. ეს სტატუტი შემუშავებულია იმ შეთანხმებათა შესაბამისად, რომლებიც საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას შორის ხელმოწერილ იქნა 1954 წლის 23 ოქტომბერს. სტატუტი ითვალისწინებდა, რომ საარი გადაქცეულიყო „ევროპის ტერიტორიად“, რომელიც „ევროპის კომისრის“ მმართველობაში იქნებოდა. კომისრის საქმიანობისათვის კონტროლი უნდა გაეწია პარიზის შეთანხმებათა შესაბამისად შექმნილ „დასავლეთ ევროპის სამხედრო კავშირს“.

„ევროპის სტატუტი“ წარმოადგენდა ცდას — გამოენახათ კომპრომისული გადაწყვეტა ამ დავისა, რომელიც საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას ჰქონდათ საარის ტერიტორიის გამო. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საარი შეიყვანეს საფრანგეთ-საარის საბაჟო და საფინანსო კავშირში, რომელმაც საფრანგეთის განკარგულებაში გადასცა საარის ქვანახშირისა და მეტალურგიული რესურსები.

ამ უკანასკნელ ხანს საარში ფართო საქმიანობა გაჩაღეს „ევროპის სტატუტის“ მოწინააღმდეგეებმა, რომლებიც მოითხოვდნენ სტატუტის გაუქმებას და გერმანიასთან საარის შეერთებას.

საფრანგეთის მთავრობა, რომელსაც „ევროპის სტატუტი“ ამის ერთადერთ საშუალებად მიაჩნია, რომ არ დაუშვას გერმანიასთან საარის შეერთება, ყოველნაირად უჭერდა მხარს ამ შეთანხმებას. რეფერენდუმის წინ საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწეები აცხადებდნენ, თუ სტატუტი უარყოფილ იქნა, საარში „სტატუს კვო“ (ახლანდელი მდგომარეობა) უნდა დარჩესო.

დარბაზობა პრაღაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის პატივსაცემად

პრაღა, 25 ოქტომბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ზ. ფირლინგერმა გუშინ დარბაზობა გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის პატივსაცემად. დარბაზობაზე იყვნენ დელეგაციის წევრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მ. პ. ტარასოვის მეთაურობით. ჩეხოსლოვაკიის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ: ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრი ვ. შიროკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ნოვოტნი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ი. დოლანსკი, ვ. კოპეცკი, რ. ბარაკი, ლ. იანკოვცოვა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მდივნები, ეროვნული კრების პრეზიდიუმის წევრები და დეპუტატები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პრაღის საწარმოთა წარმოების ნოვატორები.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებული ჩეხოსლოვაკიაში მ. დ. სიტენკო, აგრეთვე უცხოეთის საელჩოებისა და მისიების მეთაურები.

მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი ინგლისში

ლონდონი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ა. იასნოვმა, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ს. მ. ბუტუსოვმა და ქალაქ მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების ფრუნზეს რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ა. ი. მაკაროვმა, რომლებიც ახლა ინგლისში არიან სტუმრად, დაათვალიერეს ინგლისის დედაქალაქი. ისინი იყვნენ ლონდონის რაიონ ჰარლოუში, სადაც გაეცნენ საბინაო მშენებლობის მეთოდებს, დაათვალიერეს ლონდონის უდიდესი სტადიონი „უემბლი“. შემდეგ ისინი იყვნენ ლონდონის ცენტრალურ სახანძრო სადგურში, დაათვალიერეს ლონდონის დოკები. გუშინ საბჭოთა დელეგატები გაეცნენ ბანკ „ლოიდს ბენკ ლიმიტედის“ მუშაობას.

ლონდონის ლორდ-მერმა სერ სეიმურ ჰოვარდმა მ. ა. იასნოვისა და მისი თანამხლები პირების პატივსაცემად გამართა დარბაზობა, რომელზეც რამდენიმე ასეული კაცი იყო.

ლონდონის საგრაფოს საბჭოს თავმჯდომარემ ნორმან პრიჩარდმა საუზმე გამართა საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად. პრიჩარდმა სიტყვა წარმოთქვა საუზმეზე და სთხოვა საბჭოთა დელეგატებს ლონდონის მცხოვრებთა სახელით გულწრფელი სალამი და საუკეთესო სურვილები გადასცენ საბჭოთა დედაქალაქის მცხოვრებთ. მ. ა. იასნოვმა საპასუხო სიტყვაში მადლობა გადაუხადა პრიჩარდს გულითადი მიღებისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირადი კონტაქტი სხვადასხვა ქვეყნის ქალაქების აღგილმბრივი საბჭოებისა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელთა და წევრთა შორის ხელს უწყობს ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას. მ. ა. იასნოვმა მიიწვია პრიჩარდი ესტუმროს მოსკოვს ლონდონის საგრაფოს საბჭოს წევრთა ჯგუფთან ერთად. პრიჩარდმა მადლობა გადაუხადა მიწვევისათვის და განაცხადა, რომ სიხარულით იღებს მიწვევას.

საბჭოთა დელეგატები გუშინ ბირმინჰამს გაემგზავრნენ ქალაქის ლორდმერის მიწვევით.

იტალიელი კომუნისტი ქალების კონფერენცია

რომი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). რომში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა კომუნისტი ქალების ეროვნული კონფერენცია, რომელსაც დესწრო 660 დელეგატი. მოხსენება — იტალიელი ქალების ბრძოლა მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და სოციალური განახლებისათვის — გააკეთა ლინა ფიბმ. მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო იტალიის ბევრმა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ქალმა.

კონფერენციაზე გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდეგი მისალმება:

იტალიის კომუნისტი ქალების მეორე ეროვნულ კონფერენციას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სალამს უძღვნის იტალიის კომუნისტი ქალების ეროვნული კონფერენციის დელეგატებს და უსურვებს წარმატებას მუშაობასა და ბრძოლაში მილიონობით იტალიელი ქალისა და ყველა მშრომელის მშვიდობიანი ცხოვრებისა და უკეთესი მომავლისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

კონფერენციის მონაწილენი მჭუხარე ოვაციით შეხვდნენ ამ მისალმებას. გუშინ კონფერენციის საბოლოო სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა პალმირო ტოლიატიმ. მან გაიხსენა, რომ 1945 წელს, როცა მიმდინარეობდა კომუნისტი ქალების პირველი ეროვნული კონფერენცია, იტალიის კომუნისტურ პარტიაში 80 ათასი ქალი იყო. ახლა ამ პარტიაში 575 ათასი ქალია; გარდა ამისა, 100 ათასი ქალიშვილია იტალიის ახალგაზრდობის კომუნისტურ ფედერაციაში. ამ უდიდესი ორგანიზებული ძალის არსებობა, ძალისა, რომელიც პარტიის ორგანიზაციებში შედის და რომელსაც ძირითადად ქალები ხელმძღვანელობენ, თქვა ტოლიატიმ, იმის მაჩვენებელია, რომ იტალიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი ძვრები მოხდა.

ქალთა განთავისუფლებისათვის მოძრაობა, განაგრძო ტოლიატიმ, იტალიის საზოგადოების დემოკრატიული განახლებისათვის საერთო ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ნაწილია, და ამით დაინტერესებულია ყველა ქალი, რომელიც თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის იბრძვის, ამ მოთხოვნებისა, როგორიც არის: შრომის უფლება, მამაკაცის თანაბარი ხელფასი, ოჯახის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის შომავალი თათბირის შესახებ ლანგემ, კერძოდ, განაცხადა: „თუ თათბირი შეძლებს უზრუნველყოს მეტი გარკვეულობა და გაგება, თუნდაც ერთ-ერთ პუნქტში, თუ იგი შეძლებს მოამზადოს საუფლელი ქვეყნებს შორის შემდგომი მოლაპარაკებისა და გაფართოებული კონტაქტისათვის, ჩვენ უფლება გვექნება ვთქვათ, რომ იგი ამოდ როდი იყო მოწვეული“.

ლანგეს მოხსენების დასკვნითი ნაწილი მიეძღვნა „დასავლეთის ქვეყნების თანამშრომლობა:ს“ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში, ამასთან მან აღნიშნა, რომ საჭიროა ამ თანამშრომლობის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება.

ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება სტორტინგში

ოსლო, 24 ოქტომბერი. (საკდესი). ამას წინათ ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლანგემ მოხსენება გააკეთა სტორტინგში. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის უკანასკნელი სამი მეთოხედის განმავლობაში მოხდა მოვლენები, რომლებმაც განამტკიცეს იმის იმედი, რომ ქვეყნები შეძლებენ მიაღწიონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. მაგრამ ლანგემ ამ მოვლენებს მიაკუთვნა „დასავლეთის ქვეყნების სამხედრო თანამშრომლობა“, რომლის მეოხებით თოთქოს შექმნილია ერთ-ერთი წინამძღვარი „მოლაპარაკებისათვის“, ამ მოლაპარაკების დაბარებით კი „დაძაბულობის შენელებისთვისაც“. ლანგემ განაცხადა, რომ, მისი აზრით, ქვეყნებმა ჯერ კიდევ დიდი გზა უნდა გაიარონ, სანამ მიღწეულ იქნება ახლანდელი საერთაშორისო სადავო საკითხების გადაჭრა.

შემდეგ ლანგემ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა გადადგა მთელი რიგი ნაბიჯები საგარეო პოლიტიკის დარგში. ნორვეგიას შეუძლია მხოლოდ სიხარულით მიესალმოს ამ ნაბიჯებს. ამასთან იგი ამტკიცებდა, რომ ამ ნაბიჯების მიზეზი თითქოს იყო პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია. ლანგემ ალაპარაკა „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის სულისკვეთებით, გაიხსენა საბჭოთა კავშირის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას, მხარი დაუჭირა „უშიშროებას ნატოს ფარგლებში“.

ამ ნაწილში, რომელიც სპეციალურად ეხება საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის ურთიერთობის საკითხს, ლანგემ თქვა: „მთავრობას (ნორვეგიისას. — რედ.) დიდმნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნია შეინარჩუნოს და განამტკიცოს მეგობრული კავშირურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ჩვენ მოხარული ვართ, რომ შეგვიძლია დღეს ჩვენი მეზობლური ურთიერთობა დავახასიათოთ როგორც კარგი ურთიერთობა, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კონკრეტული დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ჩვენს შორის, შეგვეძლება გადავჭრათ მოლაპარაკების გზით, რომელიც იწარმოებს ორივე მხარის კეთილი ნების საფუძველზე. რა თქმა უნდა, ნორვეგიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, ისევე როგორც ურთიერთობა სხვა ქვეყნებს შორის, შეიძლება უფრო განმტკიცდეს და გაფართოვდეს და კიდევ უკეთესი იქნეს, ვიდრე ახლა არის. რაც შეგვიძლია ჩვენ, ჩვენ გვსურს ხელი შევუწყოთ ამას, რომ ორივე ჩვენმა მთავრობამ და ხალხმა ისწავლოს ერთიმეორის პრობლემების რაც შეიძლება უკეთ გაგება. სწორედ კარგი კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნების ამ სურვილის თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ პრემიერ-მინისტრ გერჰარდსენის მომავალი გამგზავრება საბჭოთა კავშირში“.

შეეხო რა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ამასწინანდელი მოსკოვის მოლაპარაკების შედეგებს და, კერძოდ, გადაწყვეტილებას ფინეთისათვის პორკალის ტერიტორიის დაბრუნების შესახებ, ლანგემ განაცხადა: „ჩვენ სიხარულით მივესალმებით ყველაფერს, რასაც შეუძლია ხელი შეუწყოს უკეთეს გაგებას საბჭოთა კავშირსა და ჩრდილოეთის ქვეყნებს შორის“.

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის მომავალი თათბირის შესახებ ლანგემ, კერძოდ, განაცხადა: „თუ თათბირი შეძლებს უზრუნველყოს მეტი გარკვეულობა და გაგება, თუნდაც ერთ-ერთ პუნქტში, თუ იგი შეძლებს მოამზადოს საუფლელი ქვეყნებს შორის შემდგომი მოლაპარაკებისა და გაფართოებული კონტაქტისათვის, ჩვენ უფლება გვექნება ვთქვათ, რომ იგი ამოდ როდი იყო მოწვეული“.

ლანგეს მოხსენების დასკვნითი ნაწილი მიეძღვნა „დასავლეთის ქვეყნების თანამშრომლობა:ს“ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში, ამასთან მან აღნიშნა, რომ საჭიროა ამ თანამშრომლობის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება.

ირანის შაჰმა ხელი მოაწერა კანონს ბაღდადის პაქტთან ირანის შეერთების შესახებ

ნიუ-იორკი. 24 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, 24 ოქტომბერს შაჰმა მოპამედ რეზა უეხლოვემ ხელი მოაწერა მეჯლისისა და სენატის მიერ დამტკიცებულ კანონს ბაღდადის პაქტთან ირანის შეერთების შესახებ. კანონი ძალაში შევა 10 დღის შემდეგ.

სრულიად ჩინეთის კონფერენცია ჩინური დამწერლობის რეფორმის საკითხებზე

პეკინი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ პეკინში დამთავრდა სრულიად ჩინეთის კონფერენცია ჩინური დამწერლობის რეფორმის საკითხებზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ჩინეთის მეცნიერება, სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. კონფერენციაზე მოხსენებები გააკეთეს ჩინური დამწერლობის რეფორმის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ უ იუი-ჯანმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ჯან სი-ყომ.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს ჩინური იეროგლიფების შემოკლებული დაწერილობის შესწორებული პროექტი, დასახეს ჩინურ ენაში გამოთქმის უნიფიკაციის კონკრეტული ღონისძიებანი, რასაც საფუძველად უდევს პეკინური გამოთქმა. კონფერენციის მონაწილეებმა აზრი გაუზიარეს ერთმანეთს იმის შესახებ, თუ რა მოსამზადებელი მუშაობა უნდა განხორციელდეს ჩინური იეროგლიფური დამწერლობის ძირეული რეფორმისათვის და იმისათვის, რომ ეს დამწერლობა შეიცვალოს ფონეტიკური დამწერლობით.

ე. გილელსის კონცერტები ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ბოსტონიდან იუწყება, რომ სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ემილ გილელსმა გუშინ იქ გამართა კონცერტი, რომლის პროგრამაში შედიოდა ბეთჰოვენისა და შოპენის სონატები.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ემილ გილელსმა „თავისი საკვირველი ვირტუოზობით განაცვიფრა მუსიკალური ბოსტონი“.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წყალქვეშა ნავი გადასცეს იაპონიას

პეკინი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ტოკიოს რადიო იუწყება, დღეს იოკოსუკის ნავსადგურში ჩაჯდა პირველი წყალქვეშა ნავი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ჰთავრობამ გადასცა იაპონიას სამხედრო ხომალდების იჯარის შესახებ ამერიკა-იაპონიის შეთანხმების შესაბამისად.

ისრაელის ჯარისკაცებმა დაარღვიეს სირიის საზღვარი

დამასკო, 24 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც აქ ცნობილი გახდა, 22 ოქტომბერს ისრაელის სამხედრო ქვეგანაყოფმა დაარღვია სირია-ისრაელის საზღვარი და ერთ კილომეტრზე შეიჭრა სირიის ტერიტორიაზე. ისრაელის ჯარისკაცებმა გადაჭრეს გზა, დააკვეს სირიის ორი საპატრულო ავტომანქანა, ამასთან მოკლეს ერთი ოფიცერი და ორი სირიელი ჯარისკაცი და ტყვედ წაიყვანეს ხუთი სირიელი სამხედრო მოსამსახურე.

შემთხვევის ადგილზე მოსულმა სირიის პატრულებმა აიძულეს ისრაელის ჯარისკაცები წასულიყვნენ სირიის ტერიტორიიდან.

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი იერუსალიმიდან იუწყება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა შტაბის უფროსმა პალესტინაში გენერალმა ბერნსმა თავის 23 ოქტომბრის განცხადებაში დაადასტურა, რომ წინა საღამოს ისრაელის არმიის ქვეგანაყოფი შეიჭრა სირიის ტერიტორიაზე და ტყვედ წაიყვანა ხუთი სირიელი სამხედრო მოსამსახურე.

სამშობლოში გაემგზავრა საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი

24 ოქტომბერს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. (საკდესი).

საქართველოს საგზოთა არქიტექტორების ნამუშევართა გამოფენა

ამ დღეებში საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა რესპუბლიკის არქიტექტორების ნამუშევართა გამოფენა.

გამოფენაზე მრავლად არის ექსპონირებული საქართველოს არქიტექტორთა ნამუშევრები, შექმნილი განვლილი რვა წლის მანძილზე — III ყრილობიდან დღემდე. განსაკუთრებით მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი საქალაქო მშენებლობის დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტი თავისი სახელოსნოებითა და ფილიალებით. ნამუშევრებს შორის ყურადღებას იპყრობს კურორტ წყალტუბოს გენერალური დაგეგმვის პროექტი. მრავლად არის ნაჩვენები ცალკეული საცხოვრებელი სახლების, სკოლების, კლუბების ტიპური პროექტები, გეგმები, სამუშაო ნახაზები და სხვ.

„საქსახპროექტის“ მიერ წარმოდგენილ ნამუშევრებს შორის აღსანიშნავია რუსთავისა და გორის მშენებლობის გენერალური გეგმების პროექტები, უკანასკნელ ხანებში აშენებული საცხოვრებელი და ადმინისტრაციული სახლების, კურორტებისა და სხვა ფოტოსურათები.

ბევრი მნიშვნელოვანი ნამუშევარი აქვთ „საქსოფლპროექტის“ არქიტექტორებს. მათ საქართველოში პირველად დაამუშავეს მეცხოველეობის ნაგებობათა ტიპური პროექტები, რომლებიც ეგზავნება საბჭოთა კავშირის სხვისმურ რაიონებს.

საქართველოში მიმდინარეობს დიდი საშენებლო სამუშაოები საცხოვრებელი და ადმინისტრაციული სახლებისა, კულტურული დაწესებულებებისა, ხიდებისა, რკინიგზის სადგურებისა, ქარხნებისა, სავაჭრო დაწესებულებებისა და სხვ. ამ მშენებლობათა შესახებ მოგვითხრობენ „თბილქალაქპროექტის“, „საქკვებმრეწვპროექტის“, „სოციუზგიპროტრანსის“ არქიტექტორების ნამუშევრები.

ბნახველები ინტერესით ათვალიერებენ „თბილმიდროენერგოპროექტის“ მიერ წარმოდგენილ ჰიდროსადგურების პროექტებსა და მაკეტებს, სამეცნიერო-სარეხტავრაციო სახელოსნოს მიერ ექსპონირებული ძველი არქიტექტურული ძეგლების რესტავრაციის პროექტებს, თბილისის სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურული ფაკულტეტის სტუდენტთა, აგრეთვე ცალკეულ არქიტექტორთა ინდივიდუალურ ნამუშევრებს.

გამოფენას ყოველდღიურად დიდძალი მნახველი ჰყავს.

• • •

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო შ. ჩხეიძისა.

საიუბილეო სესიები

27 ოქტომბერს შედგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო სესია, მიძღვნილი ბუნების დიდი გარდამქმნელის ი. ვ. მიჩურინის დაბადების 100 წლისთავისადმი.

სესიაზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებანი: ი. ვ. მიჩურინის ცხოვრება და მოღვაწეობა (მომხსენებელი აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ნ. ხომიზურაშვილი), ი. ვ. მიჩურინის მოძღვრების მნიშვნელობა ბიოლოგიური მეცნიერებისათვის (მომხსენებელი აკადემიის ნამდვილი წევრი ლ. დავითაშვილი), სელექციური მუშაობა საქართველოში (მომხსენებელი აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ლ. დეკაპრელევიჩი).

სესია შედგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8). დასაწყისი დილის 11 საათზე.

* * *

28 ოქტომბერს დღის 3 საათზე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კორპუსის № 25 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის, 11) შედგება ბიოლოგიის ფაკულტეტის საიუბილეო სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ი. ვ. მიჩურინის დაბადების 100 წლისთავისადმი.

სესიაზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებანი: ი. ვ. მიჩურინის ცხოვრება და მოღვაწეობა (მომხსენებელი ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ახალაია), მიჩურინის მეცნიერული მემკვიდრეობა და მიჩურინული აგრობიოლოგიის მიღწევები (მომხსენებელი დოცენტი გ. პაპალაშვილი), მიჩურინული მოძღვრება მცენარეთა განვითარების ფიზიოლოგიის შესწავლის საფუძველია (მომხსენებელი დოცენტი ქ. ცხაკაია), მიჩურინული ბიოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები (მომხსენებელი მეცნიერებათა კანდიდატი გ. ვეკუა).

შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში

ამ დღეებში დამთავრდა შეჯიბრება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონის ნაკრებ გუნდურ პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში. მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და სტალინირის ნაკრებ კოლექტივები.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭ[illegible] ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისის გუნ[illegible]მა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ქუთაისელ[illegible] მოჭიდავეები, მესამე საპრიზო ადგილ[illegible] არიან ბათუმელი სპორტსმენები.

პირად პირველობაში ჩემპიონები გახდ[illegible] უმძიმეს წონაში ხ. მონასელიძე, მძიმე წონ[illegible]ში შ. ჯაშიაშვილი, ქვემსუბუქ წონაში მ. ლ[illegible] დუშაური, მსუბუქ წონაში ე. რეგია, ქვესაშუ[illegible]ლო წონაში შ. მახარობლიშვილი, საშუალო წ[illegible]ნაში დ. დავლიანიძე, ქვემძიმე წონაში რ. ა[illegible]შიძე და მძიმე წონაში ნ. კუტავა (ყველანი თბ[illegible]ლისის გუნდიდან).

შეჯიბრებაში გამარჯვებულებს საზეიმო [illegible]თარებაში გადაეცათ ჯილდოები.

კონსულტაცია

26 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ლ[illegible]ტორიუმში (ლენინის ქ. 35) მოეწყობა კონსულ[illegible]ტაციები.

კონსულტაციებს ჩაატარებენ პოლიტიკურ ეკონომიის საკითხებზე ლექტორი ვ. ნიბ[illegible] დიალექტიკური და ისტორიული მატერიალ[illegible]მის საკითხებზე — დოცენტი ვ. სიგუა.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

დღეს
თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება, **რუსთაველის სახელობის** — გლახის ნაამბობი, **მარჯანიშვილის სახელობის** — პიგმალიონი, **გრიბოედოვის სახელობის** — პერსონალური საქმე, **მუსიკალური კომედიის** — ჭრიჭინა (რკინიგზელის სახლში), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — გზა მშვიდობისა (5 ს.), **თოჯინების ქართული** — ქაჯანა (10 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, **სპარტაკი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — დაუმთავრებელი ამბავი, **კომკავშირელი, ისანი** (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ეფრეიტორ კოჩეტკოვის შემოხვევა, **დიდუბე** (საზამთრო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ჯარისკაცი ივანე ბროკკინი, **ამირანი** (საზამთრო) — არაჩვეულებრივი მოგზაურობა, **ამირანი** (საზაფხულო) — მადამ ბოვარი, **თბილისი** — დიდების ბრელუდია, **კოლხიდა** (საზამთრო) — ჩემი პატარა მეგობარი, (საზაფხულო) — მესამე დარტყმა, **ისანი** (საზაფხულო) — მსოფლიოს ჩემპიონი, **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო) — ბაბჯუ ბავრა, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ქარაშხალი. **დიდუბე** (საზაფხულო) მზვერავის გმირობა, **კოლმეურნე** — დაზვერვა მდინარის გაღმა, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ბედის მოწოდება, **კომუნარების ბაღი** — ჭრიჭინა.

თბილისის სახელმწიფო ცირკი
(გმირთა მოედანი, ტელ. 3-55-27)

დღეს და ყოველდღე
ლომების ატრაქციონის გასტროლების გაგრძელება
მომთვინიერებლები
რუსეთის დამსახურებული არტისტი
ალექსანდრე და თამარ გუსლა-ევები
პროგრამის მთლიანად გამოცვლა
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

ბილეთები იყიდება სახ. ცირკის სალაროებში და რუსთაველის პრსპ. № 1 და 24, ჩელუსკინელების ქ. № 31. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე. ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენებზე არ დაიშვებიან.

კვირაობით დღის ორი სამავშვო წარმოდგენა
ლომების ატრაქციონის მონაწილეობით.
დასაწყისი I-12 ს. II-3 ს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მომარაგების სამმართველო

აცხად